



ეპიზი

20

22

სლიური  
ანბარი

საქართველოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის III თავის მე-11 მუხლის საფუძველზე (პერიოდული ანგარიშები და ანგარიშგების წარმოების მოთხოვნები) და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 07 ოქტომბრის N181/04 ბრძანების შესაბამისად, წარმოგიდგენთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ (404967078) ნახევარი წლის ანგარიშს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- სრული შემოსავლის ანგარიშგება
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
- ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
- მმართველობითი ანგარიშგება

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 5 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე  
ტარას ნიჟარაძე



გენერალური დირექტორი  
გია პეტრიაშვილი



ფინანსური დირექტორი  
თათია ჯაჯანაშვილი



## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება ორგანიზაციის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 15 ივნისს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსური ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

### ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ყუყუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბილიო აუდიტის“ სახელით

27 სექტემბერი 2023

# შინაარსი

## 4-41

### სტრატეგიული ანგარიში

1. ჩვენ შესახებ	4
2. ძირითადი ფინანსური და სამოქმედო მაჩვენებლები	5
3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა	6
4. გენერალური დირექტორის მიმართვა	8
5. მარკეტინგის მიმოხილვა	10
6. მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა	16
7. ბიზნეს მოდელი და სტრატეგია	19
8. ძირითადი შედეგების მიმოხილვა	22
9. მოზიდული სახსრების მართვა	24
10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	26
11. კორპორაციული მდგრადობა	28
12. ჩვენი გუნდი	35
13. ინფორმაციული ტექნოლოგიები	41

## 43-48


### მმართველობა

14. კორპორაციული მართვა	43
15. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	45
16. დირექტორების წევრები	47

## 51-110

### ფინანსური ანგარიშგება

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	51
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	55
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება	56
4. ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	57
5. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	58
6. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	59





დღესდღეობით მიკრო ბიზნეს კაპიტალი (ემბისი) ქართული მიკროსაფინანსო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა. ორგანიზაცია ისწრაფვის შექმნას ქვეყანაში მცირე მენარმეობისა და ფერმერობის განვითარების შესაძლებლობა და ამ გზით ხელი შეუწყოს მიკრო ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობასა და ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

ემბისი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედებს - პასუხისმგებლიანი დაკრედიტება, მომხმარებლებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობის დამყარება კი კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია.

2022 წელს მიკრო ბიზნეს კაპიტალის პორტფელმა 93.4-მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო მომხმარებელთა რაოდენობამ ქვეყნის მასშტაბით 54 ათასს გადააჭარბა.

ემბისი საქართველოს 8 რეგიონში 17 სერვის ცენტრითაა წარმოდგენილი. ორგანიზაციის გუნდი 250-მდე პროფესიონალს აერთიანებს.

ემბისი საქართველოში ერთ-ერთი პირველი არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც აღიარებული გერმანული საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის - Scope Ratings-ის უმაღლეს საკრედიტო რეიტინგს, B+ სტაბილურს ფლობს, რაც ორგანიზაციაში დანერგილი მართვის მეთოდების ეფექტიანობისა და მისი სტაბილური განვითარების დასტურია.

2022 წელს, ზედიზედ მეორედ, ემბისიმ საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის საპატიო ჯილდო (BARTA) მოიპოვა. გარდა ამისა, კომპანია საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის Meliora 22-ის გამარჯვებული და გრანპრის მფლობელია - კატეგორიაში: "წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია". ასევე, Global Banking and Finance Review-მ ემბისი საქართველოს საუკეთესო მიკროსაფინანსო ორგანიზაციად და წლის საუკეთესო ბრენდად დაასახელა.

2022 წელს ემბისიმ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა და "გალტ & თაგარტის" მხარდაჭერით, საქართველოს საფონდო ბირჟაზე 15 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები განათავსა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მყარი საფუძველია საიმისოდ, რომ კომპანიის სამომავლო გეგმები და ამბიციები განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეს და მიკრო ბანკის ლიცენზიის მიღებას დაუკავშირდეს.





# ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

მთლიანი აქტივები

**€110.2** მლნ (+13%)

მთლიანი სესხები

**€93.4** მლნ (+24%)

წმინდა მოგება

**€0.65** მლნ (-75%)

მთლიანი კაპიტალი

**€20.0** მლნ (-2%)

საფინანსო ორგანიზაციებიდან  
ნასესხები სახსრები

**71.5** მლნ (+21%)

30 დღეზე ვალაგადაცილებული  
სესხები

**5.2%** (+0.5%)

რისკის ხარჯი

**1.0%** (+0.4%)

ფილიალების

რაოდენობა

**17** (+2)

თანამშრომლების

რაოდენობა

**248** (+24)

მომხმარებელთა

რაოდენობა

**54,353** (+15,537)

თანამშრომლების  
კმაყოფილების ინდექსი  
**81%**

მომხმარებელთა  
კმაყოფილების ინდექსი  
**86%**

მომხმარებელთა  
ლოიალობის ინდექსი  
**88%**

• ემბისის უმთავრესი კაპიტალი მისი თანამშრომლები და მომხმარებლები არიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი მუდმივ რეჟიმში მუშაობს მათი ლოიალობისა და კმაყოფილების ხარისხის შენარჩუნებასა და ზრდაზე.

• მომხმარებლებთან მიმართებაში ემბისი წელიწადში ერთხელ ატარებს კმაყოფილების და კვარტალში ერთხელ NPS კვლევებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კომპანიას ორივე მიმართულებით საფინანსო სექტორში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს.

• რაც შეეხება თანამშრომლებს, პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით, სიღრმისეულ კვლევებს რეგულარული ხასიათი აქვს.



# სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა



## ტარას ნიშარაძე

### სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2022 წელი მთელი მსოფლიოსთვის გამოწვევებით იყო აღსავსე. ამ პერიოდში კვლავ აქტუალური გახლდათ პოსტპანდემიური გავლენა, პარალელურად კი ჩვენ უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის წამოწყებული საომარი მოქმედებების შედეგებთან გვინევდა გამკლავება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეს განსაკუთრებული სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ემბისისთვის გასული წელი წარმატებული გახლდათ, მომავალში კი კომპანიას კიდევ უფრო შორსმიმავალი გეგმები აქვს.

2022 წელი, ზოგადად, მიკროსაფინანსო სექტორისთვის დადებითი ტენდენციით ხასიათდება. სექტორის აქტიური სესხების რაოდენობამ 827 ათასი შეადგინდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14%-ით მეტია. 15%-ით გაიზარდა სექტორის აქტივები, ხოლო პორტფელის ჯამურმა მაჩვენებელმა 1.6 მილიარდ ლარს გადააჭარბა და 15.7%-იანი ზრდა დააფიქსირა.

აქვე, მინდა მიკროსაფინანსო ბაზრის დაბალრისკიანობაზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა, რაც ცალსახად ჩვენი მარეგულირებელი ორგანოს - საქართველოს ეროვნული ბანკის დამსახურებაცაა. სწორედ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული სწორი რეგულაციების შედეგია, რომ დღეს ბაზარზე დარჩენილი კეთილსინდისიერი მოთამაშეები პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით განვავრდობთ საქმიანობას და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

რაც შეეხება ემბისის, მაღალი კონკურენციის პირობებში, თითქმის 10 წლიანი ოპერირების შედეგად დღეს იგი ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია და რაც ასევე მნიშვნელოვანია, კომპანია ყოველწლიურად სტაბილურად იუმჯობესებს პოზიციებს, როგორც მომხმარებლის რაოდენობის, პორტფელის მოცულობის, ასევე საბაზრო წილის მიმართულებით.

2022 წელს ემბისის აქტივები 13%-ით, საკრედიტო პორტფელი 24%-ით გაიზარდა, მომხმარებლების რაოდენობის მიმართულებით კი თითქმის 40%-იანი ზრდა დააფიქსირდა. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ემბისის ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე მოქმედ მოთამაშეებთან მიმართებით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რისკების მაჩვენებელი აქვს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ჩვენი ურთიერთობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორებთან. 2022 წელს, გლობალური გამოწვევების მიუხედავად, კომპანიის მიერ მოზიდული ფულადი სახსრების მოცულობა გაიზარდა. გარდა ამისა, ისტორიაში პირველად, "გალტ & თაგარტის" მხარდაჭერით, ემბისიმ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 15 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები განათავსა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა მადლიერება გამოვხატო იმ ნდობისა და მხარდაჭერისთვის, რასაც პარტნიორები პერმანენტულად იჩენენ კომპანიის მიმართ.

#### ემბისის წარმატების ქვაკუთხედი

პროდუქტების ფართო ასორტიმენტი, მომხმარებლისადმი სამართლიანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარების სურვილი, პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი და საქმის ერთგული ლიდერები, ინოვაციებისა და სიახლეების დანერგვისკენ მუდმივი სწრაფვა - სწორედ ეს განაპირობებს დღეს ემბისის წარმატებას.





# სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

თამამად ვიტყვი, რომ არსებობის მანძილზე კომპანიას ერთი დღეც კი არ შეუწყვეტია თანამშრომლებსა თუ მომხმარებლებზე ზრუნვა, მათთან დიალოგი - რის შედეგადაც, ემბისის მომხმარებლების ლოიალობის ინდექსი ერთ-ერთი მაღალია ქართულ საფინანსო ბაზარზე და 88%-ს აღწევს, თანამშრომლების კმაყოფილების მაჩვენებელი კი თითქმის 81%-ია.

დღეს ემბისი მრავალფეროვან სეგმენტს ემსახურება - როგორც ბიზნესის, ასევე საცალო მიმართულებით. კომპანია ესწრაფვის თავისი მთავარი მისიის შესრულებას - შექმნას ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისები და პროდუქტები და ამ გზით უზრუნველყოს მცირე მენარმეებისა და ფერმერების განვითარების შესაძლებლობა. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ 2022 წელს აგრო-ბიზნეს მენარმეობის დაფინანსება კომპანიამ 11%-ით გაზარდა და ამ მიმართულებით თითქმის 70 მილიონი ლარის რესურსი გასცა.

აღნიშნული ტენდენცია სამომავლოდაც აუცილებლად გაგრძელდება. ვგეგმავთ, კიდევ უფრო დიდ მიზნებს შევეჭიდოთ და მნიშვნელოვნად გავზარდოთ როგორც მომხმარებელთა სეგმენტი, ასევე დაფინანსების მოცულობა, რის საშუალებასაც პირველ რიგში მიკრო ბანკის ლიზენციის მიღება მოგვცემს.

## ეპისი მომავალში

რაც შეეხება მომავლის ხედვას, ემბისის კულტურის ნაწილია დაინტერესებული მხარეების კვლევა, მათთან მუდმივი დიალოგი - ვესაუბრებით მომხმარებლებს, თანამშრომლებს, საზოგადოებას, გვაინტერესებს, თუ რას ელიან ჩვენგან და გადაწყვეტილებასაც ამის მიხედვით ვიღებთ. ასე იქნება მომავალშიც.

ასევე, ჩვენთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ საზოგადოების ფინანსურ განათლებაში და მომხმარებლები უზრუნველყვით იმ უნარ-ჩვევებითა და ინფორმაციით, რომელიც მათ სამომავლოდ წარმატების მიღწევას გაუმარტივებს.

2023 წელს ემბისი გეგმავს ბაზრის წილის ზრდას, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონალური სერვის ცენტრების ქსელის განვითარებამ, პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებამ და მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებამ.

ჩვენი სტრატეგიის უმთავრესი ქვაკუთხედეა მიკრო ბანკის ლიცენზიის მიღება. 2023 წელი ემბისისთვის საიუბილეოა და ჩვენი დიდი სურვილია, რომ იუბილე მიკრო ბანკის სტატუსის მიღებით აღვნიშნოთ.

დასასრულს, განუელი შრომისთვის მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ემბისელს - ჩვენს აქციონერებს, კრედიტორებს, მომწოდებლებს, პარტნიორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრ-კოლეგებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი არაჩვეულებრივი გუნდითა და პარტნიორების მხარდაჭერით, წინ ბევრი წარმატება გველის.

**თარას ნიჟარაძე**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



## გიორგი კვირიკაშვილი გენერალური დირექტორი

როგორც მოგეხსენებათ, 2022 წელი განსაკუთრებით რთული და არასტაბილური აღმოჩნდა მსოფლიოსთვის. პოსტპანდემური სირთულეების გადალახვის პარალელურად მსოფლიო იძულებული გახდა უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ნაშთი ყოვლად გაუმართლებელი აგრესიისა და საომარი მოქმედებების შედეგებს გამკლავებოდა.

ცხადია, რუსეთ-უკრაინის ომი დღეს არსებული ერთ-ერთი მთავარი გამომწვევაა და ზეგავლენას ახდენს აბსოლუტურად ყველა ქვეყნის გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გარემოზე, და მნიშვნელობა არ აქვს, ეს ქვეყანა ომშია ჩართული თუ არა.

ყველასათვის ცნობილია საქართველოს ეკონომიკური კავშირები მეზობელ ქვეყნებთან და აღნიშნულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, 21-ე საუკუნის ყველაზე სასტიკი ომი ჩვენთვის მეტად ახლო, მტკიცვეული და სახიფათოა - არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ჩვენი ისტორიული, ემოციური თუ ფსიქოლოგიური კავშირების გამო.

სწორედ ამიტომ, ომის დაწყების დღიდან ემბისიმ არაერთხელ გამოთქვა სურვილი, შესაძლებლობების ფარგლებში გვერდში დასდგომოდა უკრაინელ ხალხს - მშვიდობიან მოსახლეობას, რომელიც ომის სისასტიკისა და ჰუმანიტარული კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შექმნილ ვითარებაში ემბისიმ შეძლო ადაპტაცია და 2022 წელი წარმატებით დაასრულა. მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირებით, ინოვაციური მიდგომების ინტეგრირებით, გამართული ბიზნესმოდელით, ცვალებად გარემოში სწრაფი რეაგირებით და ჩვენი გუნდის ერთობლივი ძალისხმევით მივალწიეთ ფინანსურ, საოპერაციო და სოციალურ შედეგებს, გავუმკლავდით არსებულ გამოწვევებს და განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას - მიკრო ბანკის ლიცენზიის მოპოვებას ვგეგმავთ.

### წარმატების 10 წელი

2023 წელს ემბისი იუბილარია. ქართულ საფინანსო ბაზარზე კომპანიამ ზუსტად 10 წლის წინათ შემოაბიჭა, დღეს 250-მდე თანამშრომელს აერთიანებს და ქვეყნის მასშტაბით 55 ათასამდე მომხმარებელს ემსახურება.

ამ წლების განმავლობაში ჩვენ 10,000-ზე მეტი მცირე მეწარმისა და 3,000-მდე ფერმერული ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის სადარაჯოზე ვიდევით - მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისებისა და პროდუქტების მიღების გარანტი ვიყავით და მოხარული ვარ, რომ მათთან დღეს მრავალწლიანი, გამჭვირვალე და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა გვაკავშირებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ემბისის მიერ დაფინანსებული ქალი მეწარმეები. როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, ემბისი მუდმივ რეჟიმში ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს ქალების გაძლიერების საკითხში, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ კომპანიის ბიზნეს-აგრო პორტფელში 30% ქალია.

ამგვარი წარმატება შეუძლებელი იქნებოდა ემბისის გუნდის გარეშე. სწორედ ამ გუნდის ერთუზიანობა და თავდადება შრომამ მოგვიყვანა იქ, სადაც ახლა ვიმყოფებით.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა კოლეგას, მათ შორის ყოფილ კოლეგებსაც. მეგობრებო, სწორედ თქვენი დამსახურებაა, რომ დღეს ემბისი ბაზრის ლიდერ კომპანიებს შორისაა, ახლო მომავალში კი მიკრო ბანკის სტატუსის მიღების შემთხვევაში, კიდევ უფრო ამბიციური გეგმების განხორციელებას გეგმავს.



# გენერალური დირექტორის მიმართვა

## ძირითადი შედეგები და კარტნიორებთან ურთიერთობა

2022 წელი ემბისისთვის წარმატებული აღმოჩნდა. კომპანიამ აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში კვლავ შეძლო აქტივების მოცულობის გაზრდა, სასესხო პორტფელმა კი წლის ბოლოს 93,4 მლნ ლარი შეადგინა. ამის პარალელურად, უნდა აღინიშნოს, რომ რისკების პარამეტრების მიხედვით, კომპანია ერთ-ერთი საუკეთესო მიკროსაფინანსო სექტორში.

2022 წელს ემბისიმ არსებული და ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან გრძელვადიანი, არაუზრუნველყოფილი სესხების მოზიდვა შეძლო, რაც კარტნიორების მხრიდან ნდობის მკაფიო გამოხატულებაზე მიუთითებს. კომპანიის მყარ და სტაბილურ რისკის პროფილს ნათლად მოწმობს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-სგან მინიჭებული, მიკროსაფინანსო ბაზარზე უმაღლესი, საკრედიტო B+ რეიტინგი, რომელიც კომპანიამ პანდემიის პირობებში მოიპოვა და მას შემდეგ უცვლელად ინარჩუნებს.

2022 წელს, ზედიზედ მეორედ, ემბისიმ საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის საპატიო ჯილდო (BARTA) მოიპოვა. გარდა ამისა, კომპანია საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის Meliora 22-ის გამარჯვებული და გრანპრის მფლობელია - კატეგორიაში: "წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია". ასევე, Global Banking and Finance Review-მ ემბისი 2022 წლის საქართველოს საუკეთესო მიკროსაფინანსო ორგანიზაციად და წლის საუკეთესო ბრენდად დაასახელა.

2022 წელს ემბისიმ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა და "გალტ & თაგარტის" მხარდაჭერით, საქართველოს საფონდო ბირჟაზე 15 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები განათავსა.

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2022 წელს ემბისის გუნდმა წარმატებით გადაჭრა არსებული ამოცანები და ახლა კიდევ უფრო დიდი მწვერვალების დასაპყრობად ემზადება. გუნდის მაღალი კომპეტენცია, სწორი ფასეულობები, თანასწორი, სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემო, მუდმივი ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა, ერთმანეთისა და მომხმარებლების მიმართ მტკიცე ერთგულება არის სწორედ ემბისისა და ემბისიელების წარმატების გარანტი.

## მომავლის ხედვა

მომავალ წელს ემბისის მთავარ ამოცანას მიკრო ბანკის ლიცენზიის მოპოვება წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ბანკად გარდაქმნის პროცესი წარმატებით დასრულდება და კომპანიას შესაძლებლობა მიეცემა, გაზარდოს ფინანსურ რესურსებზე წვდომა მომხმარებლებისთვის, შექმნას კიდევ უფრო მეტი სამუშაო ადგილი და სოლიდური წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაში.

2023 წლის გეგმები საკმაოდ ამბიციურია, თუმცა კომპანიის გუნდის პოტენციური და მენეჯმენტის სწორი ხედვა მარწმუნებს, რომ ჩვენ, ყველა ერთად, შევძლებთ და მომავალი წლის ბოლოს დიდ წარმატებას მივულოცავთ ერთმანეთს.

**ზია კუთრიაშვილი**  
გენერალური დირექტორი




||| **მაკროეკონომიკის  
მიმოხილვა**



# მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## მშპ-ს რეალური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს წინასწარი მონაცემებით 2022 წელს რეალური მშპ-ს ზრდამ 10,1% შეადგინა, მაშინ როცა გასულ 2021 წელს ქვეყნის ეკონომიკის ზრდა 10,5% იყო.



2022 წელი რთული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, თუ რა ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრას. ამავდროულად, მეტად გაურკვეველი და რთული გეოპოლიტიკური გარემო, რა თქმა უნდა, იყო და კვლავაც არის შეშფოთების საგანი. ამას დაემატა ორნიშნა ინფლაცია. მთავრობის გადაწყვეტილებით, 2022 წლიდან მოიხსნა კოვიდის ყოველგვარი რეგულაცია, რასაც პოზიტიური გავლენა ჰქონდა მაკროპარამეტრებზე. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საგრძნობლად მოიმატა მიგრაციამ საქართველოში, რასაც პოზიტიური გავლენა ჰქონდა გზავნილებისა და ტურიზმიდან შემოდინებების კუთხით. 2021 წელს მშპ-ს რეალური ზრდა მნიშვნელოვნად აღემატებოდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ 2021 წლის დასაწყისში გაკეთებულ ეკონომიკურ პროგნოზებს, მსოფლიო ბანკის მოლოდინით 2021 წელს ეკონომიკური ზრდა 4% უნდა ყოფილიყო:


<https://thedocs.worldbank.org/en/doc/387741599838714845-0050022020/original/GlobalEconomicProspectsJanuary2021AnalysisECA.pdf>

ხოლო აზიის განვითარების ბანკი 3,5%-ს პროგნოზირებდა:

<https://www.adb.org/news/georgia-economy-grow-3-5-2021-adb>

2022 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდამ გაამართლა საქართველოს მთავრობის მოლოდინი, რომელიც ეკონომიკური ზრდის 10%-ის გადაჭარბებას პროგნოზირებდა.

## მიმდინარე ანგარიში მშპ-სთან



## მიმდინარე ანგარიში

2022 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა - 980 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 959,4 მილიონი აშშ დოლარით შემცირებულია, ხოლო მშპ-სთან მიმართებაში - 4,1%-ს შეადგენს.

2021 წელს საქართველოს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშმა -1 939 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 2020 წელთან შედარებით აღნიშნული დეფიციტი შემცირებულია 38 მილიონი აშშ დოლარით. მშპ-სთან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2020 წლის 12,4%-დან 2021 წელს 10,2%-მდე შემცირდა.

2022 წლის გაუმჯობესება გაზრდილმა გადმორიცხვებმა, ექსპორტმა, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, ტურიზმმა და ეროვნული ვალუტის გამყარებამ განაპირობა.



# მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## ექსპორტი იმპორტი

2022 წლის მონაცემებით ექსპორტი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1.34 მილიარდი აშშ დოლარით და შეადგენს 5,6 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი გაზრდილია 3.45 მილიარდი აშშ დოლარით და შეადგენს 13.6 მილიარდ აშშ დოლარს.

ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უკავიათ, დსთ-ს ქვეყნებს - მთლიანი ექსპორტის 48%, ევროკავშირის ქვეყნებს - 15%, ჩინეთს - 13%.

იმპორტში მნიშვნელოვანი წილი უკავიათ, დსთ-ს ქვეყნებს - მთლიანი იმპორტის 27%, ევროკავშირის ქვეყნებს - 23%, ჩინეთს - 8%.


## ფულადი გზავნილები

2022 წლის ფულადი გზავნილების ჯამურმა ჩარიცხვებმა 4.372 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2.023 მილიარდი აშშ დოლარით (86%-ით) აღემატებოდა 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.


2022 წლის გადარიცხვებმა შეადგინა 343 მილიონი აშშ დოლარი, რაც 26.6 მილიონი აშშ დოლარით (8%-ით) აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ჩარიცხვების განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით არის შემდეგი, რუსეთის ფედერაცია - მთლიანი ჩარიცხვების 47%, იტალია - 10%, აშშ - 7%, საბერძნეთი - 5%.

ფულადი გზავნილების ჩარიცხვები უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



ფულადი გზავნილების გადარიცხვები უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)





# მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## ტურიზმი


2021 წელს არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 2020 წლის მონაცემს 29%-ით გადააჭარბა და 118,6 ათასი შეადგინა, რაც 2019 წლის ვიზიტორების რაოდენობის მხოლოდ 23% იყო. წინა წლებთან შედარებით 2022 წელს გაიზარდა ვიზიტორების რაოდენობა და 327,1 ათასი შეადგინა, რაც 2019 წლის ვიზიტორების რაოდენობის 65%-ს შეადგენს.

2022 წლისათვის ტურიზმიდან შემოსავლებმა გადააჭარბა პანდემიამდე პერიოდს (2019 წელი) 7.6%-ით. ასევე საგრძნობი გაუმჯობესებაა წლიდან წლამდეც. კერძოდ, 2022 წელს 2021 წელთან შედარებით 182.5%-ით გაიზარდა შემოსავლები ტურიზმიდან და 3.517 მილიარდი აშშ დოლარს მიაღწია.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2022 წლის წინასწარი მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენს 2 მილიარდ აშშ დოლარს. 2021 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაზრდილია 61%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით მონაცემები გაზრდილია 48%-ით.


## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)



2022 წლის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით - ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოელი ინვესტორი საქართველოში არის გაერთიანებული სამეფო, ჯამურად ინვესტიციების 21%-ით, შემდეგ ესპანეთი 18%, აშშ 8%, ნიდერლანდები 7% და ირლანდია 6%.

2022 წლის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით - ყველაზე მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას საქართველოში საფინანსო სექტორი იზიდავს, მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების 26%-ს, შემდეგ მოდის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები 20%, წყალმომარაგება (კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები) - 10%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 9%, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება - 7%.

## უმუშევრობის დონე



## დასაქმება-ხელფასები

2021 წელთან შედარებით 2022 წელს უმუშევრობის დონე 3.3%-ით შემცირდა და 17.3% შეადგინა. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო მთავრობისა და ბიზნესის მიერ შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილებით, მომატებული მოთხოვნით რუსეთ-უკრაინიდან მიგრაციის გამო და საქართველოდან უმუშევარი ხალხის გადინებით.



# მაკროეკონომიკის მიმოხილვა

რაც შეეხება საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს, 2022 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით განისაზღვრა 1773,7 ლარით. 2021 წლის მონაცემებთან შედარებით ის გაიზარდა 36%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 57%-ით (2021 წელს 1304.5 ლარი, 2020 წელს 1191.0 ლარი, 2019 წელს 1129.5 ლარი).

## ბაზვლითი კურსი და საერთაშორისო რეზერვები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2021 წლის ბოლოსთან შედარებით, ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად გამყარდა. 2022 წლის პირველ ნახევარში ვალუტა გაუფასურდა 2021 წელთან შედარებით, თუმცა 2022 წლის ზაფხულიდან დაიწყო გამყარება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის ბოლოსთან შედარებით ლარი აშშ დოლართან გამყარდა 13%-ით, ხოლო ევროსთან 18%-ით. 2019 წლის ბოლოსთან შედარებით კი ლარი აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა 6%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებით 10%-ით.


ეროვნულ ვალუტას გამყარების ტენდენცია ჰქონდა თურქულ ლირასთან და რუსულ რუბლთან მიმართებითაც. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარი თურქულ ლირასთან 2021 წლის ბოლოსთან შედარებით გამყარდა 39%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 70%-ით. რუსულ რუბლთან მიმართებით კი - 2021 წლის ბოლოსთან შედარებით 11%-ით, ხოლო 2019 წლის ბოლოსთან შედარებით 21%-ით.

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ინტერვენციებით სხვადასხვა პერიოდში 93,8 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა და 80 მილიონი აშშ დოლარი შეისყიდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის განმავლობაში სავალუტო აუქციონის გარეშე შეისყიდა 578,4 მილიონი აშშ დოლარი (წმინდა). ამ თანხიდან 517,2 მილიონი აშშ დოლარი შეისყიდა წლის მეორე ნახევარში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური სარეზერვო აქტივები 2022 წლის ბოლოს 4,9 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით კი 4,3 მილიარდ აშშ დოლარს.

## ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11,9% შეადგინა, რაც მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება. ინფლაციის შემცირების მიზნით ეროვნული ბანკი მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას. 2022 წლის ბოლოსთვის რეფინანსირების განაკვეთი 11%-ს შეადგენდა, რაც 0,5 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის ბოლოს მაჩვენებელზე.







# მაკროეკონომიკის მიმოხილვა

## სახელმწიფო ბიუჯეტი

2021 წელს სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი დადგინდა 3%-იან ზღვარზე მაღალი შენარჩუნდა, მაგრამ წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა და ნომინალურ მშპ-სთან - 6,7% შეადგინა. 2019 წელს იგივე მარჯვენებელი - 2,6% იყო, ხოლო 2017-2018 წლებში 1%-ზე ნაკლები. წინასწარი მონაცემებით დეფიციტი გაუმჯობესდა 2022 წელსაც - 4,2%-მდე, თუმცა ისევ აჭარბებს დადგინდა 3%-იან ზღვარს.

## სახელმწიფო ვალი

2021 წელს გაიზარდა სახელმწიფოს ვალის ოდენობა. მთავრობის ვალის მოცულობამ მშპ-სთან მიმართებით შეადგინა 49,7% და მოექცა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კანონით დადგინდა 60%-იანი ზღვრის ფარგლებში. სახელმწიფო ვალის მოცულობამ მშპ-სთან მიმართებით შეადგინა 52%, აქედან 42,4% საგარეო ვალს, ხოლო 9,6% საშინაო ვალს უკავია.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით 25,4 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წლის მდგომარეობით 22,5 მილიარდ ლარს შეადგენდა. საშინაო ვალმა 2021 წლის ბოლოს 5,8 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით 7,2 მილიარდ ლარს შეადგენდა.

## საერთაშორისო რეიტინგი

2022 წელს, რუსეთ-უკრაინის ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველოს პოზიცია სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. S&P Global-მა და Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელ, „BB“ დონეზე დატოვეს. Moody's Investors Service-მა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი „სტაბილურიდან“ „ნეგატიური“ Ba2 დონემდე შეამცირა. სააგენტოს შეფასებით, ეს გადაწყვეტილება უკრაინის ომით გამოწვეულ გაზრდილ გეოპოლიტიკურ საფრთხეებს, ასევე, „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის გამო რუსეთთან დაძაბულობას და რეგიონში რუსეთის არაპროგნოზირებად სტრატეგიულ ზრახვებს ასახავს.

## 2023 წლის ეკონომიკური პროგნოზი

COVID-19-ის პანდემიამ საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა. პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის პარალელურად საქართველოს ეკონომიკამ 2021 წლის მეორე კვარტლიდან გაუმჯობესება დაიწყო, მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი-იმპორტის, დღგ-ს გადამხდელ სანარმოთა ბრუნვის, საფინანსო სექტორის ზრდის, წმინდა ფულადი გზავნილებისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები. დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით ეკონომიკის წლიურმა ზრდამ 10,1% შეადგინა. აზიის განვითარების ბანკის პროგნოზით 2023 წლისათვის მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდა 4,5%-ის ფარგლებში, ხოლო 2024 წელს 5%-ის ფარგლებში. მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას ინფლაციის მაღალი დონე წარმოადგენს, რომლის შერბილების მიზნითაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას. გამომდინარე იქიდან, რომ ინფლაციის რეალური მაჩვენებელი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად სცდება მიზნობრივ მაჩვენებელს, არ არის მოსალოდნელი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მნიშვნელოვანი კლება 2023 წელს. აზიის განვითარების ბანკის პროგნოზის მიხედვით „2022 წელს დაფიქსირებული 12%-იანი ინფლაციის 2023 წელს 6%-მდე განახევრება, ხოლო მომდევნო წელს 4%-მდე შემცირებაა მოსალოდნელი, რითაც ინფლაცია საქართველოს ეროვნული ბანკის 3%-იან მიზანს მიუახლოვდება. აღნიშნულის მიზეზი მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, შედარებით სუსტი საშინაო მოთხოვნა და გაუმჯობესებული მინოდების ჭაჭყებია. 2023 წელს ინვესტიციების გაზრდა 5.5%-ით და 2024 წელს 3.5%-ით არის მოსალოდნელი. ბიუჯეტის დეფიციტი კი 2023 წელს მშპ-ს 2.7%-ის და 2024 წელს 2.5%-ის ექვივალენტით შემცირდება. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი სავაჭრო დეფიციტის გაღრმავების ფონზე 2023 წელს მშპ-ს 5%-ით, ხოლო 2024 წელს მშპ-ს 6%-ით გაიზრდება. ექსპორტის ზრდის 10.7%-მდე შენელებაა მოსალოდნელი, რაც 2024 წელს 11.2%-ს მიაღწევს. ფულადი გადარიცხვები წელიწადში 2.5 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდება, რადგან მცირდება მიგრანტების შემოდინება, რაც სავარაუდოდ სავალუტო კურსის წნეხს გამოიწვევს.“

**მიკროსაფინანსო  
ბაზრის  
მიმოხილვა**






# მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა

მიუხედავად რუსეთ-უკრაინის ომისა, მიკროსაფინანსო სექტორმა 2022 წელს, როგორც აქტივების, ისე სასესხო პორტფელის ზრდა დააფიქსირა.

## მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა და აქტიური სესხების რაოდენობა

2022 წელს გაგრძელდა მიკროსაფინანსო სექტორში რეგისტრირებულ ორგანიზაციათა კლების ტენდენცია. 2022 წლის ბოლოს რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების (შემდგომში „მისო“) რაოდენობამ 36 შეადგინა, 2021 წელთან შედარებით სექტორს ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გამოაკლდა. 2022 წლის ბოლოს მიკროსაფინანსო სექტორში აქტიური სესხების რაოდენობა 827 ათასს შეადგენდა, რაც 2021 წლის ბოლოსთან შედარებით 14%-ით არის გაზრდილი.

## ზრდის ტემპი (წელი): მთლიანი სესხები




## მიკროსაფინანსო სექტორის აქტივები და მთლიანი სესხები

2022 წლის ბოლოს მიკროსაფინანსო სექტორის ჯამურმა აქტივებმა 1.9 მილიარდი ლარი, ხოლო აქტივების წლიური ზრდის ტემპმა 15% შეადგინა. მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანმა პორტფელმა 2022 წლის ბოლოს 1.6 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო წლიურმა ზრდის ტემპმა 15.7% შეადგინა. 2021 წელს მისო ბაზრის მთლიანი პორტფელის ზრდამ 15.7%, სვის კაპიტალის - 32%, ლიდერ კრედიტის - 24.6%, ემბისის - 23.6%, რიკო ექსპრესის - 16.9%, კრისტალის - 10.7% შეადგინა, ხოლო ლაზიკას კაპიტალი 8.3%-ით გაიზარდა.

## მისო სექტორის წილობრივი გადანაწილება

პორტფელის (მთლიანი სესხები) მოცულობის მიხედვით სექტორის წარმომადგენლების წილობრივი გადანაწილება 2022 წლის ბოლოს მონაცემებით შემდეგია: რიკო ექსპრესი - 27%, კრისტალი - 25%, სვის კაპიტალი - 11%, ემბისი - 6%, ლიდერ კრედიტი - 5%, ლაზიკა კაპიტალი - 5%, ხოლო დანარჩენ 30 მისოს ბაზრის პორტფელის 22% უკავია.

## მთლიანი სესხების წილობრივი განაწილება



ემბისი 2023 წელს გეგმავს ბაზრის წილის ზრდას, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონალური სერვის ცენტრების ქსელის განვითარებამ, პროდუქტების გაფართოებამ და მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებამ.




# მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა

## სექტორის და უზუალო კონკურენტების რისკები

სექტორის რისკები ხასიათდება კლების ტენდენციით რაც შესაძლო დანაკარგების რეზერვის კლებაში აისახება. 2022 წლის ბოლოს მონაცემებით სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი მთლიან სესხებთან მიმართებაში 4.8% იყო, რაც ნაკლებია 2021 წლის მონაცემზე - 5.7%.

ბალანსის სტრუქტურა: სესხების რეზერვი / მთლიანი სესხები




წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის ბოლოს მონაცემებით ემბისის ბაზართან და ბაზრის უმსხვილეს მოთამაშებებთან მიმართებაში აქვს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რისკები, რაც აისახება სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან მიმართებაში დაბალი მაჩვენებლით.

# ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

კომპანიის ხედვა ეფუძნება გრძელვადიანი, გამჭვრივალე, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას მომხმარებლებთან, კოლეგებთან, საზოგადოებასა და ინვესტორებთან.




კომპანიის სტრატეგია ორიენტირებულია შექმნას შესაძლებლობები მცირე მეწარმეებისა და ფერმერების განვითარებისთვის და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების გზით ხელი შეუწყოს მიკრო ბიზნესის სტაბილურობას. ემბისის კონკურენტული უპირატესობა მომხმარებლებზე ფოკუსირებული ბიზნეს მოდელია, რომელიც მიზნად ისახავს მიკროსაფინანსო სექტორში საუკეთესო მომსახურების შეთავაზებას. კომპანია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მართვის სტანდარტებითა და მოწინავე პრაქტიკით, მუდმივ რეჟიმში ავითარებს პროდუქტებს და აუმჯობესებს მომსახურებას, ხელს უწყობს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლების პროფესიული განვითარება, ცოდნაში ინვესტირება და მათთვის საინტერესო კარიერული შესაძლებლობების მხარდაჭერა, ასევე კორპორაციული სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. ამასთან, ყოველთვის ვცდილობთ სანდო პარტნიორობა გავუწიოთ ჩვენს პარტნიორებს და ინვესტორებს.

## სტრატეგიული პრიორიტეტები

- ფინანსური პროდუქტების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება;
- ინოვაციური მიდგომების ინიცირება და მომსახურების გაციფრება;
- განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა და მიკრო ბანკის ლიცენზიის მიღება;
- თანამშრომელთა განვითარება;
- ფინანსური განათლების ხელშეწყობა.



## ფინანსური პროდუქტების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება

კომპანია წარმოდგენილია 17 სერვის ცენტრით საქართველოს 7 რეგიონში. მომდევნო წლებშიც იგეგმება სერვის ცენტრების ქსელის გაფართოება, თუმცა კომპანიის სტრატეგიის შესაბამისად მთავარ ამოცანას წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაცია, განსაკუთრებით ძირითად პროდუქტებში გაყიდვების განტვირთვის ზრდა და პროდუქტიულობის გაუმჯობესება პროცესების გაციფრულების გზით.

ემბისის მომხმარებლები მომსახურებას იღებენ როგორც სერვის ცენტრებში, ასევე დისტანციური არხების საშუალებით. მომსახურება მოიცავს საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების ფართო სპექტრს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის. ორივე მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობს როგორც არსებული პროდუქტების სრულყოფა, ასევე ახალი პროდუქტებისა და სერვისების დამატება. ემბისის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისი პროდუქტებისა და მომსახურების, შიდა სისტემების, პროცედურებისა და სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავებას, განახლებას, გამართულ ინტეგრაციას და უწყვეტ მონიტორინგს.

# ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მომსახურების პროვაიდერი ვიყოთ საფინანსო ბაზარზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად და წარმატებით განსახორციელებლად კომპანია მუდმივად სწავლობს მომხმარებელთა საჭიროებებს, ატარებს შესაბამის გამოკითხვებსა და კვლევებს, აქვს სისტემატური პირდაპირი კომუნიკაცია მომხმარებლებთან და ეფექტიანად იყენებს უკუკავშირის არხებს. ინფორმაცია მუშავდება და ანალიზდება, რაც შემდგომ გვეხმარება, რათა მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად გარდავქმნათ პროდუქტები და მომსახურება და მოვარგოთ ისინი მათ ინტერესებს. მსგავსი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოლოდინი, გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები და შევინარჩუნოთ მომსახურების მაღალი სტანდარტი.

2022 წლის მდგომარეობით ემბისი მიკროსოფინანსო ორგანიზაციებს შორის მოწინავე ადგილზეა და საკრედიტო პორტფელის სიდიდის მიხედვით მე-4 პოზიციას იკავებს. მომდევნო პერიოდისათვის კომპანიის მიზანია, განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა და მიკრო ბანკის ლიცენზიის მიღება.

## ინოვაციური მიდგომების ინიცირება და მომსახურების გაციფრულება

ემბისისთვის მნიშვნელოვანია ინოვაციების წახალისება და საინტერესო იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა, ისეთი ახალი პროდუქტების შეთავაზება, რომლებიც სწრაფი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინოვაციური პროდუქტების სწრაფად და ეფექტიანად დანერგვა და მომხმარებლებისთვის შეთავაზება. ემბისი მუდმივად მუშაობს ციფრული შესაძლებლობების, დისტანციური პროდუქტებისა და მომსახურების გაუმჯობესებაზე, ინოვაციური გადაწყვეტილებების განვითარებაზე როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლების და მიზნობრივი ჯგუფების ხელშეწყობისთვის.

## 2022 წელს კომპანიამ მომხმარებლებს შესთავაზა ახალი და გამარტივებული სერვისები:

- დისტანციური იდენტიფიკაციის პროცედურა, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, დაზოგონ დრო, ხარჯები და ემბისიში მიუსვლელად მიიღონ მომსახურება;
- ავტო სესხის დისტანციურად მოთხოვნის პლატფორმა, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დისტანციურად შეავსონ განაცხადი და სახლიდან გაუსვლელად მიიღონ პასუხი.
- დისტანციური ვიზიტის პროცესის დანერგვა, რაც საშუალებას გვაძლევს მსესხებლის ბიზნეს საქმიანობის შეფასება მოვახდინოთ ადგილზე ვიზიტის გარეშე. ადგილზე ვიზიტის დისტანციური ვიზიტით ჩანაცვლება, უზრუნველყოფს როგორც კლიენტის კომფორტულ მომსახურებას, ასევე ემბისის თანამშრომლების დროის ეფექტიან განაწილებას.
- ტექნოლოგიური რუკების განახლება, რასაც მსესხებლების აგრო შემოსავლების შესაფასებლად ვიყენებთ. კომპანიაში ვსარგებლობთ 86 განსხვავებული ტექ. რუკით, მეცხოველეობისა და მემცენარეობის მიმართულებით.
- მიკროსაფინანსო ბაზარზე ინოვაციური პროდუქტის – „ვალუტის ონლაინ კონვერტაციის“ დანერგვა, რომელიც ვირტუალურ პერსონალურ სივრცეს მოიცავს და მომხმარებელს საშუალებას აძლევს დისტანციურად დააფიქსიროს დავალება უნაღდო კონვერტაციაზე და ოპერაცია სახლიდან გაუსვლელად განახორციელოს. „ვალუტის ონლაინ კონვერტაცია“ არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს ხელსაყრელ გაცვლით კურსს სთავაზობს.

## მიკრო ბანკის ლიცენზიის მიღება

2023-2024 წლებში ემბისი გეგმავს მიკრო ბანკის ლიცენზიის მოპოვებას. რადგან ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო და მოთხოვნები წინასწარ იყო ცნობილი, კომპანიამ 2022 წელს დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და ამ წლის ბიზნეს გეგმა სრულად მოარგო კანონპროექტში განვირეკ კრიტერიუმებს და მოთხოვნებს, განსახორციელებელ ცვლილებებსა და ქმედებებს.

მიკრობანკად გარდაქმნა ახალ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის, შესაბამისად დავინწყეთ მუშაობა ბრენდის ცვლილებაზე, კომპანიის სტრატეგიის განახლებაზე, მომხმარებელთა გაფართოებული სეგმენტისთვის სრულიად ახალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებაზე, გაყიდვების ახალი არხების და მეთოდების ჩამოყალიბებაზე, ციფრული ტრანსფორმაციის ეტაპებზე.

# ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

ლიცენზირების პროცესში, ვფიქრობთ, უპირატესობას მოგვანიჭებს ცვლილებებთან სწრაფი ადაპტაცია, სიახლეების დროული და ხარისხიანი დანერგვა, დიჯიტალიზაციაში გააზრებული და თანმიმდევრული ინვესტიციების განხორციელება, მომსახურების მაღალი დონე და მომხმარებელზე ფოკუსირების შენარჩუნება, ბაზრის საჭიროებებზე მორგებული პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვა, ძირითადი ბიზნესპროცესების გაციფრულება.

გვჯერა, რომ ემბისისი დირექტორატის და მაღალი რგოლის მენეჯერების მრავალწლიანი საბანკო გამოცდილება მნიშვნელოვანი საყრდენი ძალა იქნება მიკრო ბანკად ტრანსფორმაციის გზაზე.

## თანამშრომელთა განვითარება

კომპანიის წარმატების საფუძველი და ყველაზე ღირებული აქტივი სწორედ თანამშრომელთა გუნდია. ამიტომაც მენეჯმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათთვის უსაფრთხო პირობების, განვითარების ხელშეწყობის, წამახალისებელი, კომფორტული და მეგობრული სამუშაო გარემოს შექმნას. პერსონალის მართვის სტრატეგია მთლიანად ორიენტირებულია მაღალი მოტივაციის სისტემაზე და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობაზე. ემბისი უზრუნველყოფს თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვას, ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ქმნის პირობებს მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისათვის. კომპანია ფინანსურად უჭერს მხარს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს. თანამშრომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიის განვითარებისთვის. ემბისის გუნდი პროფესიონალიზმით, ცოდნით, გამოცდილებითა და მაღალი მოტივაციით გამოირჩევა.

## ფინანსური განათლების ხელშეწყობა

საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების, ფინანსური განათლების ამაღლება ემბისის ერთ-ერთი პრიორიტეტული და სტრატეგიაში ასახული ამოცანაა, რამდენადაც სწორედ ფინანსური განათლებაა ის საბაზისო უნარი, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ფინანსური კეთილდღეობა და სტაბილურობა. ემბისიში არსებობს მდგრადი პროექტი "ფინანსური მრჩეველი", რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას, მენარმეებს, ფერმერებს საშუალება ეძლევათ მიიღონ რჩევები და გაეცნონ შესაბამის კონტენტს, ასევე პროექტის ფარგლებში დაესწრონ ტრენინგებსა და ვორქშოპებს.

"ფინანსური მრჩეველი" მიზნად ისახავს გუნდის გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს ადამიანებს, ვისაც ეს სჭირდება. ემბისისთვის მნიშვნელოვანია პროგრესი, წარმატება და მდგრადი განვითარება, შესაბამისად, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სტრატეგიის განხორციელებაზე დაკვირვება, კომპანიის მიერ შემუშავებული მიზნების და ძირითადი მაჩვენებლების შესაბამისობის კონტროლი. ჩვენ მიზნად დავისახეთ მომხმარებლებს გავუწიოთ მათ საჭიროებებზე მორგებული, გამჭვირვალე და მაღალი ხარისხის მომსახურება, რათა ხელი შევუწყოთ სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციას.



# ძირითადი შედეგების მიმოხილვა

კოვიდ პანდემიის გამო 2020-2021 წლები გამორჩეულად რთული და გამომწვევებით აღსავსე იყო მიკროსაფინანსო ბაზრისთვის. ამის მიუხედავად, ემბისიმ მნიშვნელოვანი ცვლილებების ინიცირებით, გამართული ბიზნესმოდელითა და ცვალებად გარემოში სწრაფი რეაგირებით შეძლო სექტორში არსებულ გამომწვევებს გამკლავებოდა და გასული საანგარიშგებო წლები წარმატებით დაასრულა. სირთულეებით და ახალი გამომწვევებით დაიწყო 2022 წელიც. 2022 წლის თებერვალში რუსეთ-უკრაინას შორის საომარი ვითარების დაწყების შემდეგ საქართველოს ფინანსური ბაზარიც მნიშვნელოვანი რისკების წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო იმ მომხმარებლების ქცევა, რომელთა შემოსავლებიც თუ საქმიანობაც რუსეთ-უკრაინასთან იყო დაკავშირებული. იქიდან გამომდინარე, რომ ის მომხმარებლები, რომელთა შემოსავლის წყარო რუსეთს და უკრაინას (ექსპორტი, იმპორტი, გზავნილები) უკავშირდება, პორტფელში დაბალი კონცენტრაციით არიან წარმოდგენილი, ემბისის საკრედიტო რისკებსა და პორტფელის ხარისხზე ომს პირდაპირი მატერიალური გავლენა არ მოუხდენია.

ომს უკავშირდება სავალუტო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებიც. თებერვალში, ომის დაწყების შემდეგ, სულ რამდენიმე დღეში ლარი აშშ დოლართან მიმართებით 3%-ით გაუფასურდა, ბაზარზე შეიქმნა მოლოდინი, რომ ლარის მატერიალური გაუფასურება გაგრძელდებოდა და ორგანიზაციამ საჭიროდ მიიჩნია კაპიტალის სავალუტო რისკებისგან დაზღვევა, რის გამოც მარტის თვიდან ეტაპობრივად დაიწყო გრძელვადიანი საბალანსო პოზიციის გახსნა და შეიძინა აშშ დოლარი. როგორც კომპანიის, აგრეთვე ექსპერტებისა და ეკონომისტების მოლოდინი ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით არ გამართლდა, საქართველოში ტურისტებისა თუ ფულადი ნაკადების შემოსვლის ზრდამ 2021 წლის ბოლოსთან მიმართებით, 2022 წლის დამლევსთვის ლარი აშშ დოლართან მიმართებით 13%-ით გაამყარა. 2022 წლის ივლისის თვეში, ორგანიზაციამ დახურა ღია საბალანსო პოზიცია და ეტაპობრივად მოახდინა მიღებული ზარალის დაკომპენსირება მოგებით. ლარის გამყარება ემბისის ფინანსურ შედეგებზე აისახა და 2022 წელს ღია საბალანსო პოზიციის გადაფასებიდან მიღებულმა წმინდა ზარალმა 836 ათასი ლარი შეადგინა.

## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ზემოაღნიშნული გამომწვევების მიუხედავად, ემბისიმ წარმატებით მოახერხა ძირითადი საქმიანობით მიღებული შედეგების გაუმჯობესება. 2022 წლის ბოლოს, 2021 წლის დეკემბერთან მიმართებით, მთლიანი სასესხო პორტფელი 24.5%-ით გაიზარდა და 93,410 ათასი ლარი შეადგინა. ემბისიმ ახალი სერვის-ცენტრები გახსნა სამტრედიასა და ზესტაფონში, რაც მომავალში ხელს შეუწყობს აგრო და მცირე ბიზნეს სესხების წილის გაზრდას მთლიან სასესხო პორტფელში. მნიშვნელოვნად მოიმატა ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობამ და ზრდის მაჩვენებელმა საანგარიშგებო წლის დამლევსთვის 12% შეადგინა. ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობა დეკემბრის დამლევსთვის 8,009-ს შეადგენდა, აქედან 63%-ს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სერვის-ცენტრები ემსახურებიან.

2022 წლის ბოლოსთვის ემბისის მთლიანი ვალდებულებები 17%-ით გაიზარდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა მოზიდული სახსრების ზრდა, რამაც 20% (14,068 ათასი ლარი) შეადგინა. ბაზარზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების მიუხედავად, ემბისიმ მოახერხა ახალი სესხები წინასთან შედარებით უკეთესი, უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებით მოეზიდა და უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეემცირებინა მოზიდული სესხების ხარჯი.

ემბისის მთლიანი კაპიტალი, 2022 წლის ბოლოსთვის, 2021 წლის დეკემბრის თვესთან მიმართებით, 2%-ით შემცირდა, აღნიშნული შემცირების ძირითადი მიზეზი პრივილეგირებულ აქციებზე განაწილებული 2021 წლის დივიდენდი იყო, რომელიც ორგანიზაციამ 2022 წლის იანვრის და ივლისის თვეში გამოაცხადა და გასცა, ჯამში 1,019 ათასი ლარის ოდენობით. 2022 წლის აკუმულირებულმა მოგებამ 657 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ჩამორჩება გასული წლების ანალოგიური პერიოდის შედეგებს (2021 წელს აკუმულირებული წმინდა მოგება 2,585 ათასი ლარი იყო), რაზეც ძირითადი გავლენა ღია საბალანსო პოზიციის გადაფასებამ მოახდინა. მოგების გენერაციაზე დადებითი გავლენა იქონია მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდამ და შესაბამისად გაზრდილმა საპროცენტო და საკომისიო შემოსავლებმა. პორტფელის ზრდასთან ერთად კომპანიამ წარმატებით მოახერხა მისი მაღალი ხარისხის შენარჩუნება და საკრედიტო რისკების მინიმიზაცია. 2022 წლის ივნისის ბოლოსთვის ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი 853 ათასი ლარი (საშუალო მთლიანი სესხების 1%) იყო, რაც გასულ პერიოდში ჩამოწერილი სესხების მაღალი ამოღებისა და აქტიური სესხების დაბალი რისკის მაჩვენებლით არის გამომწვეული. 2021 წლის დეკემბერთან მიმართებით მცირედით გაიზარდა უმოქმედო სესხების მთლიან სესხებთან (0.5%-ით) და სესხების შესაძლო დანაკარგების (0.4%-ით) მაჩვენებლები.






## ძირითადი შედეგების მიმოხილვა

2022 წლის დამლევსთვის ემბისი წარმატებით ასრულებდა ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ საზედამხედველო კაპიტალის და ლიკვიდობის კოეფიციენტების მოთხოვნებს, ასევე, დაგირავებული აქტივების კოეფიციენტს, რომელზეც ორგანიზაციას ეროვნული ბანკისაგან მოპოვებული ჰქონდა გრძელვადიანი ვივერი და 2022 წლის ბოლოს, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვების შემდეგ გამოასწორა. აღნიშნული კოეფიციენტის დარღვევის ძირითადი მიზეზი ადგილობრივი ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული ნახევრად უზრუნველყოფილი სესხები იყო, საიდანაც 15,000 ათასი ლარი არაუზრუნველყოფილი ობლიგაციებით ჩანაცვლდა.

გასულ წლებში არსებული სირთულეების მიუხედავად, ემბისიმ თავისი შედეგებით მრავალჯერ დაამტკიცა, რომ არის სტაბილური, განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც ინარჩუნებს დაბალი რისკების მაჩვენებლებს და ასევე მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას იჩენს თანამშრომლების, მომხმარებლების, ფართო საზოგადოებისა და იმ გარემოს მიმართ, რომელშიც უწევს ოპერირება. ორგანიზაციის შედეგებმა დადებითი გავლენა იქონია მის შეფასებაზე და 2022 წლის ივნისში, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Scope Rating-მა, მესამედ მიანიჭა B+ რეიტინგი, რომელიც ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე ყველაზე მაღალია. 2022 წელს გაზრდილ კონკურენტულ გარემოს, საერთაშორისო გამოწვევებს და დაბალი მომგებიანობის მაჩვენებელს რეიტინგის ცვლილება არ მოჰყოლია, თუმცა მისი პროფილი სტაბილურიდან ნეგატიურისკენ შეცვალა. მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში კომპანია შეეცდება გააუმჯობესოს ფინანსური შედეგები და აღადგინოს სტაბილური პროფილი.





## მოზიდული სესხების მართვა

2022 წლის თებერვალში, რუსეთ-უკრაინას შორის საომარი ვითარების დაწყების შემდეგ, გამკაცრდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პოლიტიკა საქართველოსადმი და რამდენიმე მათგანმა გადაავადა დამატებითი სესხების გაცემა ქართულ კომპანიებზე, შესაბამისად, ემბისისაც გაურთულდა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დამატებითი ლიკვიდური სახსრების მოზიდვა. კომპანიამ ხანგრძლივი თანამშრომლობისა და სტაბილურობის შენარჩუნებით, მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეძლო არსებული თუ ახალი ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან როგორც ახალი გრძელვადიანი სესხების მიღება, ასევე ვადადამდგარი სესხების ვადის გაგრძელება ან ახალი სესხებით რეფინანსირება.

2022 წელს ორი პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისგან მოხდა 3,500 ათასი აშშ დოლარის მოზიდვა, ხოლო ახალ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისგან 4,000 ათასი აშშ დოლარის ახალი სესხის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბაზარზე მკვეთრად გაიზარდა დოლარის განაკვეთები, ემბისიმ შეძლო 2022 წელს კონკურენტულ ფასებში მოეზიდა ახალი რესურსი უცხოურ ვალუტაში და აშშ დოლარში მოზიდული სესხების საშუალო განაკვეთი 6.75%-ს შეადგენდა. 2022 წლის ბოლოსთვის, საერთაშორისო ინსტიტუტებისგან მოზიდული სესხების ჯამი 34,757 ათასი ლარი იყო.

ორ ქართულ კომერციულ ბანკთან სასესხო ტრანზაქციებმა 7,950 ათასი ლარი შეადგინა. ბანკებისგან მოზიდული სესხები ცვლად განაკვეთშია და დაკავშირებულია ლარის რეფინანსირების განაკვეთზე, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა და მომავალში დადებით გავლენას იქონიებს ორგანიზაციის საპროცენტო ხარჯების დაზოგვაზე.

2022 წლის ბოლოს ემბისიმ პირველად მოახერხა ლარის არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების წარმატებით განთავსება. ობლიგაციების მოცულობამ 15,000 ათასი ლარი შეადგინა და ვადა 2 წლით განისაზღვრა. ობლიგაციები ოთხმა ქართულმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა და მათგან წარსულში მიღებული უზრუნველყოფილი სენიორ სესხები ჩანააცვლა. აღნიშნული ტრანზაქციის საშუალებით, ემბისიმ მატერიალურად შეამცირა დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი და შეასრულა ეროვნული ბანკის მოთხოვნა კოეფიციენტის დაცვის თაობაზე. საბოლოო ანგარიშით, ქართული კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხების და შექმნილი ობლიგაციების მოცულობამ 2022 წლის ბოლოსთვის 36,702 ათასი ლარი შეადგინა.

ემბისი დაარსების დღიდან წარმატებით თანამშრომლობს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდულ სენიორ სესხებზე. აღნიშნული პირების ნაწილი ორგანიზაციის აქციონერები ან მათთან დაკავშირებული პირები არიან, ნაწილი კი ემბისისადმი მაღალი ნდობით გამოირჩევა და წლების განმავლობაში აგრძელებენ კომპანიასთან თანამშრომლობას. 2022 წლის ბოლოს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული სენიორ სესხების ჯამმა 7,880 ათასი ლარი შეადგინა.

2022 წელი ტექნიკური მხარდაჭერისა და გრანტების მოპოვების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ემბისიმ მიიღო პირველი ტექნიკური მხარდაჭერა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისგან აგრო პროდუქტის განვითარებისათვის, პროექტის ბიუჯეტი 40 ათას ლარამდე იყო და საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, 2023 წლის პირველ ნახევარში წარმატებით დასრულდა. აგრო პროდუქტის მხარდასაჭერად და კომპანიის ციფრული სერვისების განვითარებისათვის, კომპანიამ 2022 წლის დამლევს პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან ახალ შეთანხმებას მიაღწია. აღნიშნული პროექტის ბიუჯეტი 400 ათას ლარამდეა და შესრულების პერიოდად 2023-2024 წლები განისაზღვრა.



## მოზიდული სასხების მართვა

კომპანიამ 2022 წელს მონაწილეობა მიიღო კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერ პროგრამაში, რომელიც განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კაპიტალის და ფინანსური ბაზრების განვითარების გუნდის მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული პროგრამის გამარჯვებულები საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოვლინდნენ და მათ შორის იყო ემბისი, რომელმაც მიღებული საგრანტო თანხით, ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებული ხარჯები აანაზღაურა.



ემბისიმ წარმატებით გააგრძელა თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან და საანგარიშგებო პერიოდის შემდეგაც მოიპოვა მატერიალური ფინანსური მხარდაჭერა როგორც არსებული პარტნიორი ორგანიზაციებისგან, ასევე ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან. ტექნიკური მხარდაჭერისა და გრანტების მოპოვება მომავალ პერიოდშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორგანიზაციის განვითარების თვალსაზრისით.

### კომპანიის პარტნიორები:



### რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები

რისკის მართვის პროცესში ჩაბმულია კომპანიის ყველა თანამშრომელი, რაც რისკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობას. სტრუქტურულ ერთეულებს მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა რისკების მართვის პროცესებში, რაც რისკების მართვის პროცესების ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

რისკების მართვა ხორციელდება რისკების მართვის ერთიანი სისტემის ფარგლებში, რომლის მიზანია:

- არსებული რისკებისა და საფრთხეების დროული იდენტიფიცირება;
- შესაძლო დანაკარგების პრევენცია;
- დამდგარი ინციდენტების ეფექტიანი მართვა;
- მისოს მიზნების მიღწევის ხელშეწყობა;
- კონტროლის გაუმჯობესება;
- ოპერაციების ეფექტიანობის გაზრდა;
- ორგანიზაციის მდგრადობის ხელშეწყობა;
- მარეგულირებელ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებასა და მოვალეობათა მკაფიო განაწილებას. რისკების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც კომპანიის სტრატეგიას განსაზღვრავს და სტრატეგიული მიზნების შესრულებას უწევს ზედამხედველობას, ხოლო დირექტორატი მისოს ყოველდღიური პროცესების მართვაში მონაწილეობს.

ინდივიდუალური რისკების მართვა ყოველდღიურ რეჟიმში დამყარებულია „დაცვის სამი ხაზის“ პრინციპზე, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გამიჯვნას, რათა მიღწეულ იქნეს მთლიანი რისკების ეფექტიანი მართვა, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მისოს შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას.

დაცვის სამხაზიანი მიდგომა აცალკევებს მფლობელობას/რისკის მართვას იმ ფუნქციებისგან, რომლებიც ახდენენ რისკების ზედამხედველობას და დამოუკიდებელ აუდიტს:

**ბიზნესის ხაზი** - მისოს სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ფლობენ და მართავენ რისკს.

**დაცვის მეორე ხაზი** - დაცვის მეორე ხაზი დამოუკიდებელია დაცვის პირველი ხაზისგან და მონიტორინგს უწევს კომპანიის მიერ რისკის აღების პროცესს, აფასებს რისკებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს, ბიზნესის ხაზისგან დამოუკიდებლად.

**დაცვის მესამე ხაზი** - მისოში დაცვის მესამე ხაზს წარმოადგენს შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი დამოუკიდებელია დაცვის პირველი და მეორე ხაზისგან და მისი ძირითადი ფუნქციაა კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის, დაცვის პირველი და მეორე ხაზების და რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს თანამიმდევრულობისა და ეფექტიანობის შეფასება.

### რისკების მართვა

• **საკრედიტო რისკი** - წარმოადგენს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს. ვინაიდან კომპანიის აქტივების 90%-ზე მეტს საკრედიტო პორტფელი წარმოადგენს, საკრედიტო რისკი კომპანიისთვის ყველაზე მატერიალური რისკია. აქედან გამომდინარე საკრედიტო რისკების გონივრული მართვა კომპანიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ჯანსაღი და სტაბილური პორტფელის შექმნის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს განონასწორებული საკრედიტო პოლიტიკა, ძლიერი შიდა კონტროლის მექანიზმები, რისკების დივერსიფიკაცია და გუნდის სწორი მოტივაცია.

• **პორტფელის რისკის ანალიზი** - რისკების დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს პორტფელის რისკების ანალიზს, რომლის მიზანია პორტფელში რისკების კონცენტრაციის გამოვლენა და მისი შემცირების მიზნით მიტიგაციის ზომების განსაზღვრა და გატარება. პორტფელის რისკების შედეგებზე ანგარიშგება დირექტორატს ყოველთვიურად წარედგინება;

- **კორტჯელის დივერსიფიკაცია** - საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი პორტჯელის დივერსიფიკაციაა. ემბისიში დივერსიფიკაცია ხორციელდება მომხმარებლის ტიპის, გეოგრაფიული არეალის, საქმიანობის და სექტორის კონცენტრაციის მიხედვით;
- **სესხების მასასიათებლები** - კომპანიის სესხები შედარებით მოკლევადიანია. სესხები დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში, რაც მსესხებლის სავალუტო რისკებს ამცირებს. სესხები უზრუნველყოფილია, რაც საკრედიტო რისკების მითიგაციის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს;
- **სესხების დანაკარგების რეზერვი** - ადეკვატური რეზერვის შექმნა საკრედიტო რისკების მართვის ფუნდამენტს წარმოადგენს. ემბისი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მისობისთვის რეზერვირების წესით განსაზღვრულ პრინციპებთან მიმართებით, უფრო კონსერვატიულ მიდგომას იყენებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მიუხედავად სესხის უზრუნველყოფის ხარისხისა (მყარი/არამყარი) ემბისი სესხებს უფრო კონსერვატიული არამყარი სექტორით არეზერვებს.
- **სესხების კომიტეტი** - სესხებზე გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო კომიტეტი, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა. კომპანიაში მკაფიოდაა გამიჯნული საკრედიტო ანალიზისა და კრედიტის დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეთა მოვალეობები. კომიტეტის წევრთა უფლებები განსაზღვრულია საკრედიტო კომიტეტის ლიმიტების დოკუმენტით. დოკუმენტში ლიმიტების დიფერენციაცია პროდუქტის, სესხის მოცულობის, უზრუნველყოფის ტიპის, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ხდება. საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებები დაფუძნებულია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებზე, რაც გულისხმობს, მსესხებლის მიერ, ფინანსური სირთულეების გარეშე, სესხის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების მომსახურების შესაძლებლობას. კომიტეტის მიერ დამტკიცებული სესხი უნდა ემსახურობდეს მსესხებლის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.
- **პოლიტიკა/პროცედურები** - ემბისიში მოქმედებს პოლიტიკა/პროცედურები, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ნორმატივებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- **საოპერაციო რისკების ჩარჩო** - ემბისიში დანერგილია საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში ხორციელდება საოპერაციო რისკების იდენტიფიკაცია და იდენტიფიცირებულ რისკებთან მიმართებით რისკის მინიმიზაციის და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, დანერგვა და რისკის მონიტორინგი;
- **ინციდენტების მართვა** - ემბისი ახორციელებს საოპერაციო ინციდენტების გამოვლენას, შეგროვებას, აღრიცხვას და კლასიფიკაციას, რაც ბაზელის კომიტეტის მეთოდოლოგიას ეფუძნება და კომერციული ბანკების მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს შეესაბამება;
- **შესაბამისობა** - საკანონმდებლო მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კომპანიას შექმნილი აქვს შესაბამისი მართვის სისტემები და პროცესები, რომლებიც ოპერაციების ყველა დონეზეა გათვალისწინებული;
- **პროგრამული უზრუნველყოფა** - ემბისი მუდმივად აახლებს პროგრამულ უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და პროცესების ავტომატიზირების, რისკების შემცირების და ეფექტიანობის ზრდის მიზნით.
- **თანამშრომელთა სწავლება** - ემბისის თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგები პროცესებში არსებულ რისკებთან დაკავშირებით მათი ცნობადობის ამაღლების მიზნით;
- **ანგარიშგება** - ემბისის დირექტორატს პერიოდულად წარედგენება ანგარიში, როგორც კომპანიის მასშტაბით სხვადასხვა პროცესში წარმოქმნილი რისკის მინიმიზაციის და კონტროლის მექანიზმების მიმართულებით შესრულებული სამუშაოს, ისე მომავალში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

# კორპორაციული მდგრადობა



ნლის  
პასუხისმგებელი  
კომპანია

# 11 კორპორაციული მდგრადობა

ემბისი განაგრძობს მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერას და 2022 წელს აღნიშნული მიმართულებით არაერთი ინიციატივა განახორციელა. კომპანიაში მოქმედებს კორპორაციული მდგრადობის სტრატეგია, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას მოიცავს. აღნიშნული მიმართულებების გადახედვა ხდება გარკვეული პერიოდულობით იმის შესაბამისად თუ როგორია ორგანიზაციის დაინტერესებული მხარეების მოლოდინები და ზოგადად სექტორის მოთხოვნები. ემბისიში სტრატეგიის გადახედვა 2022 წელს განხორციელდა, შედეგად კი განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

- პასუხისმგებლობა თანამშრომლების მიმართ;
- პასუხისმგებლობა მომხმარებლების მიმართ;
- გარემოზე ზრუნვა;
- საზოგადოების მხარდაჭერა.



კომპანია აცნობიერებს მის ზეგავლენას საზოგადოებაზე, გარემოზე, თანამშრომლებზე, პარტნიორებსა თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებზე და ცდილობს შესაბამისად მართოს აღნიშნული პროცესი - გაზარდოს დადებითი და შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა.

კორპორაციული მდგრადობის მიმართულებით ემბისი არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. კერძოდ: გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, საქართველოს პრო ბონო ქსელი, გავლენის ფონდი „აქციო“, USAID საქართველო, PH International, გაეროს ქალთა ორგანიზაცია UN Women Georgia, MFC, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა - Finedu, სოციალურ საწარმოთა ალიანსი, წითელი ჯვარი, პროექტი „ჩართე“.



## მდგრადი განვითარების მენეჯმენტი

ემბისიში კორპორაციული პასუხისმგებლობის და მდგრადი განვითარების საკითხების ეფექტიან მართვას საოპერაციო დეპარტამენტი, კერძოდ კი - კორპორაციული პასუხისმგებლობის მენეჯერი უზრუნველყოფს. მენეჯერი პასუხისმგებელია სტრატეგიის, შესაბამისი მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და მათ განხორციელებასა. აგრეთვე, მის ფუნქციაში შედის უზრუნველყოს მდგრადი განვითარების ანგარიშგების მომზადება და წარდგენა როგორც სამეთვალყურეო საბჭოსთვის, ასევე დირექტორატისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. ამასთან, ემბისის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში დაგეგმილია მდგრადი განვითარების კომიტეტის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის პოლიტიკას და აგრეთვე, გარემოსდაცვითი, მმართველობითი და სოციალური ფაქტორების (ESG) ინტეგრაციას მის საქმიანობაში.



# კორპორაციული მდგრადობა



## ემბისი საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის - MELIORA 2022-ის გრანპრის მფლობელია

ემბისიმ საქართველოს პასუხისმგებელი კონკურსის - მელიორა 2022-ის გრანპრი მოიპოვა კატეგორიაში - წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია. აღნიშნული გამარჯვება დაკავშირებულია შემდეგი მიმართულებებით განხორციელებულ ინიციატივებთან: პასუხისმგებლობა თანამშრომელთა და მომხმარებელთა მიმართ, გარემოსდაცვა და საზოგადოების მხარდაჭერა. Meliora 2022 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით, ევროკავშირისა (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით ჩატარდა.

„ემბისისთვის მიღებული ჯილდო ძალიან დიდი სტიმული და მოტივაციაა გააძლიეროს კორპორაციული მდგრადობის მიმართულებით მუშაობა და განვითარება. პირველ რიგში, მსურს კომპანიის თანამშრომლებს მივულოცო, რადგან აღნიშნული გამარჯვება სწორედ მათი შრომისა და ძალისხმევის შედეგია.“ -

ეთო ჩაჩიბაია, ემბისის ოპერაციების დირექტორი

## საზოგადოების მხარდაჭერა

### ფინანსური განათლება

ემბისის საქმიანობის მიზანია ფინანსური რესურსებით სარგებლობა ხელმისაწვდომი გახადოს იმ ჯგუფებისთვის (ფერმერები, მცირე მეწარმეები, ინდივიდუალური მომხმარებლები, ა.შ.), რომლებსაც ამ ეტაპზე აღნიშნულის შესაძლებლობა არ აქვთ - განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს რეგიონებს. კომპანიისთვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს ზემოთხსენებული ჯგუფების ფინანსური განათლების ხელშეწყობა. ემბისისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების მიმართულებით ახალგაზრდებთან, მათ შორის სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან აქტიური მუშაობა.

**ონლაინ პლატფორმა** - „ფინანსური მრჩეველი“ - პლატფორმა წარმოადგენს Facebook გვერდს და მისი მიზანია საზოგადოებაში ფინანსური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება. გვერდის საშუალებით კომპანია საზოგადოებას უზიარებს ინფორმაციას სხვადასხვა ფინანსური პროდუქტების, ტერმინებისა თუ ფაქტების შესახებ - ეხმარება მათ სწორად შეაფასონ არსებული ფინანსური რისკები და შესაძლებლობები და ამის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები.

<https://www.facebook.com/financialadvisermbc>

ამას გარდა, ემბისი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა FinEdu-სთან. აღნიშნული თანამშრომლობის მიზანაც ფინანსური განათლების შესახებ საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ცნობიერების ამაღლებაა. 2022 წელს ახალგაზრდებში ფინანსური განათლების მხარდაჭერის მიმართულებით ემბისიმ შემდეგი აქტივობები განახორციელა:



**გლობალური ფულის კვირეული** - 2022 წლის 22-დან 25 მარტის ჩათვლით, გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში, ემბისის დესკანებმა 10-მდე სკოლის 180-მდე მოსწავლეს ჩაუტარეს ონლაინ გაკვეთილები და გააცნეს ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორცაა ფულის ისტორია, ფულის მართვისა და დაზოგვის მნიშვნელობა და სხვა. იხ. ბმული: <https://www.mbc.com.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/globaluri-fulis-kvireuli-2022>



# კორპორაციული მდგრადობა

**ბლოგების კონკურსი** - 2022 წელს ემბისი გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის - "შექმენი შენი მომავალი, მოეპყარი გონივრულად ფულს!", მხარდამჭერი იყო. კომპანიამ 17 გამარჯვებულიდან ერთ-ერთი - უჩა გოშაძე, 500 ლარის ოდენობით ფულადი პრიზით დააჯილდოვა. აღსანიშნავია, რომ კონკურსის გამარჯვებულების მიერ მიღებული თანხა სრულად გადაირიცხა უკრაინელი ხალხის მხარდასაქერ ანგარიშზე.  
<https://www.finedu.gov.ge/ge/siakhleebi-1/globaluri-fulis-kvireulisadmi-midzghvnili-blogebis-konkursi-dasrulebulia-1>

**ინოვაციების ბანაკი** - ემბისიმ ინოვაციების ბანაკის მხარდაჭერის ტრადიცია არც 2022 წელს დაარღვია. ღონისძიებაში, რომლის მიზანია ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების ძიება, მონაწილეობა 15-18 წლის 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო. პროექტში ჩართულ ახალგაზრდებს კონსულტაცია საბანკო-საფინანსო სფეროდან მოწვეულმა ექსპერტებმა გაუწიეს. ემბისის მხრიდან გამარჯვებული ახალგაზრდები 1000 ლარის მოცულობის ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.  
<https://www.finedu.gov.ge/ge/siakhleebi-1/inovatsiebis-banaki-metsarmeebis-finansuri-ganatlebis-temaze-1>

**ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე** - 2022 წელს ემბისი საქართველოს ეროვნული ბანკისა და საგანმანათლებლო პლატფორმა FinEdu-ს ორგანიზებული ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონკურსის მხარდამჭერი გახლდათ. კონკურსი 12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს დასრულდა და ჟიურიმ, რომლის წევრებს შორის ემბისის წარმომადგენელიც იყო, გამარჯვებულები გამოავლინა. მესამე ადგილზე გასულმა ნიკა ბერიძემ კი კომპანიისგან ფულადი პრიზი მიიღო.  
<https://mbc.com.ge/ge/სიახლეები/konkursi-axalgazrdebi-moswavleebistvis>



**მსოფლიო დაზოგვის დღე** - დაზოგვის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, ემბისის დესპანები (თანამშრომლები) საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 10-ზე მეტი სკოლის 250-მდე მოსწავლეს შეხვდნენ და ფულის დაზოგვის თემატიკაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, სახალისო გაკვეთილები ჩაუტარეს. აქტივობა თელავის, ლაგოდეხის, ახალციხის, რუსთავის, ზესტაფონის, სამტრედიისა და ბათუმის სკოლების მეოთხე-მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის გაიმართა. გაკვეთილზე ბავშვებისთვის ფულის დაზოგვის მეთოდებზე, დანაზოგვის უსაფრთხოებაზე, გონივრული ხარჯვის პრინციპებსა და სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხებზე გახლდათ საუბარი. <https://mbc.com.ge/ge/სიახლეები/mbc-dazogvis-kvireuls-sheuertda>

# 11 კორკორაციული მდგრადობა

**სკოლის მოსწავლეების სტაჟირება ემბისიში** - 2022 წელს ემბისიმ USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამასთან თანამშრომლობა დაიწყო და მის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს პროფესიული სტაჟირების გავლის შესაძლებლობას აძლევს. წლის განმავლობაში კომპანიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისსა და რეგიონებში ორგანიზებულ სკოლა-ბიზნესის ფორუმებში. რაც შეეხება უშუალოდ სტაჟირების პროცესს, რომელიც საფინანსო ინსტიტუტის საქმიანობის ადგილზე გაცნობას ითვალისწინებს, მან სტარტი აიღო აჭარიდან და ამჟამად, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში გრძელდება. ამ ეტაპზე, პროექტში 15-მდე მოსწავლეა ჩართული.




“როდესაც ემბისის სტაჟირების პროგრამის შესახებ გავიგე მაშინვე დავინტერესდი. ვფიქრობ, რომ ფინანსური განათლება ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია და ამ მიმართულებით ცოდნის მიღებაც ყველაზე კარგად ფინანსურ სექტორშია შესაძლებელი. სტაჟირება ბათუმის ფილიალში გავიარე, სადაც ძალიან თბილი და კომფორტული გარემო დამხვდა. სხვადასხვა ფინანსურ საკითხებზე ცოდნას სიღრმისეულად, მარტივად და ძალიან საინტერესოდ მიზიარებდნენ. სწორედ ამიტომ ემბისიში გატარებული თითოეული დღე ჩემთვის სახალისო და ნამდვილად საჭირო ცოდნის მომცემი აღმოჩნდა.”

**თეკლა ქათამაძე, 15 წლის, ბათუმის N9 საჯარო სკოლა, X კლასის მოსწავლე.**

## სოციალური სანარმოების მხარდაჭერის პროგრამა

სოციალური სანარმოების მხარდაჭერა გასულ წლებშიც გახლდათ ემბისის ერთ-ერთი პრიორიტეტი, თუმცა 2022 წელს კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული მიმართულება კიდევ უფრო მდგრადი და კომპლექსური გაეხადა და ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად ექცია. აღნიშნული მიდგომა სოციალური სანარმოების გრძელვადიან მხარდაჭერას ითვალისწინებს.





# კორპორაციული მდგრადობა

**სოციალური სანარმოების ფინანსური მხარდაჭერა** - 2022 წელს ემბისი გახდა საქართველოში პირველი გავლენის ფონდის Actio-ს ინვესტორი, რომლის მიზანია სოციალური სანარმოების გაძლიერება - როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის თვალსაზრისით. ფონდში ინვესტირებით კომპანია იღებს გრძელვადიან პასუხისმგებლობას და მომავალი 5 წლის განმავლობაში 25000 აშშ დოლარის კონტრიბუციის განხორციელებას გეგმავს. 2023 წელს, ემბისის ფინანსური კონტრიბუციით, დაგეგმილია ისეთი სოციალური სანარმოების მხარდაჭერა, რომლებიც შრომის ბაზარზე ნაკლებადკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობენ.

## ფილანთროპიული ინიციატივები

ემბისი რეგულარულად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ფილანთროპიულ ინიციატივებს და მხარს უჭერს საზოგადოების ისეთ ჯგუფებს, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება (ხანდაზმულები, ახალგაზრდები, ბავშვები). ქველმოქმედებისთვის სამიზნე ჯგუფების შერჩევა ხდება ყოველწლიურად და მხარდაჭერის ფორმაც ჯგუფების საჭიროებების შესაბამისად განისაზღვრება.

2022 წელს განვახორციელეთ შემდეგი საქველმოქმედო ინიციატივები:

- ხანდაზმულთა თავშესაფრების მხარდაჭერა
- ემბისისა და „კათარზისის“ თანამშრომლობა
- პროექტის „ჩართე“ მხარდაჭერა

## ემბისი უკრაინელების მხარდასაჭერად

უკრაინის მხარდაჭერის მიზნით, ემბისის თანამშრომლებისა და აქციონერების სახელით, ომში დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად 50,000 ლარის ოდენობის თანხა გადაირიცხა. აღსანიშნავია, რომ უკრაინელი ხალხის დახმარების პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო თითოეულმა ემბისელმა. კერძოდ, თანხის ნახევარი - 25, 000 ლარი სწორედ ემბისელების სახელით გახლდათ მობილიზებული, თანხის მეორე ნახევარი კი კომპანიამ გაიღო. თანხა, რომელიც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მეშვეობით გადაირიცხა, ჰუმანიტარული დანიშნულებისაა და სრულად მოხმარდა დაზარალებული, ტრავმირებული და დევნილი ოჯახებისთვის მედიკამენტების, საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების ნივთების შეძენას.

## ქალების მხარდაჭერა

2019 წლიდან ემბისი გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმომწერია და აქტიურად მუშაობს აღნიშნულ საკითხზე როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მის გარეთ. ქალთა ჯგუფების განსაზღვრა ამ შემთხვევაშიც ყოველწლიურად ხდება და მათი გაძლიერების მიმართულებით სხვადასხვა სახის აქტივობები იგეგმება.

2022 წელს ემბისი ფოკუსირებული გახლდათ ქალი მენარმეებისა და ქალების კუთვნილი ბიზნესების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე. კერძოდ, კომპანიის საახალწლო შესყიდვების 80%-მდე სწორედ მსგავსი კომპანიებისგან განხორციელდა. მაგალითად: სოციალური სანარმო „ჩირიგე“, „გემუანი“, „bloomer.ge“ - ჭამში, აღნიშნული მენარმეებისგან 7000 ლარის ღირებულების პროდუქციის შესყიდვა მოხდა.

## ახალგაზრდების მხარდაჭერა

ემბისისთვის ახალგაზრდების მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული სეგმენტის ინტერესების გათვალისწინება ხდება როგორც ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებში, ასევე იმ ინიციატივებსა და სიახლეებში, რასაც კომპანია სამომავლოდ გეგმავს.

2022 წელს ემბისიმ თანამშრომლობა დაიწყო USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამასთან. პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. აღნიშნული თანამშრომლობის გზით კომპანიას სურს დაინტერესებულ მოსწავლეებს შესთავაზოს ხვადასხვა სახის მხარდაჭერა, მათ შორის სტაჟირების შესაძლებლობა, რათა მათ მიღებულ ინფორმაციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გააზრებულად აირჩიონ პროფესია და ამასთანავე, აიმაღლონ ფინანსური განათლების დონე. (იხ. შესაბამისი ქვეთავი, ასევე ბმული: <https://mbc.com.ge/ge/სიახლეები/biznes-forumi-adjarashi>).

USAID-ის პროგრამასთან თანამშრომლობის ფარგლებში ემბისიმ მონაწილეობა მიიღო 4 სკოლა-ბიზნესის ფორუმში, შემდეგ ლოკაციებზე: აჭარა, სამეგრელო, შიდა ქართლი, თბილისი.



# კორპორაციული მდგრადობა

## გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ემბისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. კომპანია მრავალი წელია ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივებს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთ და მართავს იმ ზეგავლენებს, რომელიც ემბისის გარემოზე აქვს. მენეჯმენტი უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მიდგომების კოორდინაციასა და კონტროლს და ასევე, ახალისებს თანამშრომლებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას. ზემოთაღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელია კორპორაციული პასუხისმგებლობის მენეჯერი. ემბისის პირდაპირი ზემოქმედება გარემოზე განპირობებულია ენერჯის, წყლის რესურსების, საწვავის მოხმარებითა და ნარჩენებით. შესაბამისად, გარემოსდაცვითი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულები შემდეგნაირია:

- **ნარჩენების მართვა**

ემბისიში დანერგილია მართვის სისტემა, რომლის მიზანია არსებული ნარჩენების (ქაღალდი, ელექტრო და ელექტრონული ნარჩენები) ეფექტური მართვა.

- **ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით მოხმარება და ენერგოეფექტურობა**

- **გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება**

ემბისი სხვადასხვა ინიციატივებით ცდილობს ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას როგორც კომპანიის შიგნით - თანამშრომლებს შორის, ასევე კომპანიის გარეთ - მომხმარებლებსა და პარტნიორებს შორის. 2022 წელს განხორციელდა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა მიზანი დაინტერესებული მხარეებისთვის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახლდათ. კერძოდ, ჩატარდა კონკურსი - „ყველაზე ეკომეგობრული სერვის ცენტრი“ და პირობებთან ერთად თანამშრომლებისთვის მოხდა დეტალური ინფორმაციის გაზიარება ბუნებრივი რესურსების მდგრად მოხმარებაზე - კერძოდ, თუ რა გზებით შეუძლიათ დაზოგონ მათი მოხმარება. ასევე, 2022 წელს, პარტნიორების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საახალწლო სასაჩუქრე პაკეტის შედგენა მოხდა გარემოსდაცვითი კონცეფციით და მოიცავდა დეტალურ ინფორმაციას იმ უარყოფითი ზეგავლენების შესახებ, რომელთაც ადამიანები ბუნებრივი რესურსების არასწორი მოხმარებით თუ ნარჩენების არასწორი მართვით გარემოზე ვახდენთ.

2022 წელს, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში, კომუნიკაცია განხორციელდა 240 თანამშრომელთან და 100-მდე პარტნიორთან. მსგავს ინიციატივებს კომპანია მომავალ წელსაც გეგმავს.

- **სხვა გარემოსდაცვითი ინიციატივები**

გარდა ზემოთ აღნიშნული ინიციატივებისა, ემბისი ცდილობს, შეამციროს ტრანსპორტირებით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენა. კომპანიის ავტოპარკის 80% დაკომპლექტებულია ჰიბრიდული სატრანსპორტო საშუალებებით (4 ავტომანქანიდან 3 ჰიბრიდულია). ასევე, ორგანიზაცია ცდილობს, გაზარდოს და მხარი დაუჭიროს კლიენტების მიერ ჰიბრიდული და ელექტრო ავტომანქანების შეძენას. 2022 წელს ავტოსესხის პორტფელის 30% სწორედ ზემოთაღნიშნული სახის მანქანებზე მოდის და სამომავლოდ იგეგმება შედეგების გაუმჯობესება.

## ESG რისკების მართვა

კომპანია დაკრედიტებისა და რისკების შეფასების პროცესში ითვალისწინებს ESG, სოციალურ და გარემოსდაცვით ფაქტორებს. კერძოდ, ემბისი არ აფინანსებს ისეთ საქმიანობებს, რომელთა შესაძლოა ზიანი მიაყენონ გარემოს, შექმნან ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხე, უარყოფითად იმოქმედონ კულტურული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ადგილებზე და სხვა.

ESG მიმართულებით კომპანია გეგმავს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას - სტრატეგიის შემუშავებასა და დანერგვას, რათა დაკრედიტების პროცესში უფრო ეფექტურად და კომპლექსურად მოხდეს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების მართვა.

MBC  
MICRO BUSINESS CAPITAL



საბანკო  
სერვისი

საბანკო  
267662529  
284272955  
280000000

# ჩვენი გუნდი



# 12 რვენი გუნდი

თანამშრომლები ემბისისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული კაპიტალია. კომპანია მუდამ ზრუნავს მათ კეთილდღეობასა და განვითარებაზე. ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალის მართვის სტრატეგიის მიზანია, შექმნას დისკრიმინაციისგან თავისუფალი, გენდერული თვალსაზრისით დაბალანსებული, უსაფრთხო და თანამშრომლების პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო.

ემბისში 248 ადამიანია დასაქმებული. 2022 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, თანამშრომლების საერთო რაოდენობის 62% ქალია. გარდა ამისა, ქალი თანამშრომლების წილი მენეჯერულ პოზიციებზე შეადგენს 50%-ს, ხოლო მენეჯენტში - 60%-ს.

<p><b>თანამშრომელთა რაოდენობა</b></p> <p><b>248</b></p>	<p><b>ქალ თანამშრომელთა წილი</b></p> <p><b>62%</b></p>	<p><b>ქალების წილი მენეჯერულ პოზიციებზე</b></p> <p><b>50%</b></p>	<p><b>ქალების წილი მენეჯენტში</b></p> <p><b>60%</b></p>
---	--	---	---

## ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტი

თანამშრომლების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ემბისი შემდეგი მიმართულებებით მუშაობს:

- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე;
- თანაბარი შესაძლებლობები და მრავალფეროვნება;
- ღირსეული სამუშაო პირობები და ბენეფიტები;
- თანამშრომლების სწავლება და პროფესიული განვითარება;
- თანამშრომელთა ჩართულობა და კომუნიკაცია;
- თანამშრომელთა მოხალისეობრივი საქმიანობა.

## ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

ემბისი განაგრძობს თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვას. კომპანიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფასა და რისკების პრევენციაზე. ყველა თანამშრომელი ვალდებულია, ნებისმიერი სახის ინციდენტის და აღმოჩენილი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში საქმის კურსში ჩააყენოს შესაბამისი სამსახური. ემბისში მუდმივად ხდება არსებული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების რისკების შეფასება,



საჭიროებათა ანალიზი და შეუსაბამობათა აღმოსაფხვრელად სამოქმედო გეგმის შედგენა. ორგანიზაციას აქვს ოფისის ექსპლუატაციის დროს საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა და ყველა შესაძლო ინციდენტის წინაპირობის გათვალისწინებით, მუდმივად ახდენს მის განახლებასა და დახვეწას. თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნით ემბისის ყველა ოფისსა და სერვის ცენტრში თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული შეტყობინების სტრუქტურული სქემა სატელეფონო ცნობართა და საქალაქო სამაშველო სამსახურების საკონტაქტო ნომრებით, აგრეთვე კომპანიის განკარგულებაში არსებული ყველა ობიექტი აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს და აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით.

## თანაბარი შესაძლებლობები და მრავალფეროვნება

ემბისში გვჯერა, რომ ყველა თანამშრომელი თანასწორია განურჩევლად ასაკისა, შეზღუდული შესაძლებლობებისა, სქესის, ოჯახური მდგომარეობის, გენდერული ნიშნის, ეროვნული კუთვნილების, რელიგიის ან სხვა მსგავსი მახასიათებლებისა და, შესაბამისად, კომპანია ცდილობს, შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, სადაც თანამშრომლებს თანაბარი შესაძლებლობები ექნებათ, დისკრიმინაციისგან დაცული იქნებიან და თავს ღირსეულად იგრძნობენ.

ემბისი წარმოადგენს გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმძღვრ კომპანიას და აქტიურად თანამშრომლობს UN Women საქართველოსა და გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან. ქალთა გაძლიერების პრინციპების ფარგლებში, ორგანიზაციას აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შესაბამის ინიციატივებს.

გარდა ამისა, 2022 წელს ემბისი ჩართული იყო გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის, Target Gender Equality-ის აქსელერაციის პროგრამაში, რომლის მიზანია, ბიზნესებმა გაზარდონ თავიანთი წვლილი მდგრადი განვითარების 5.5 მიზნის (SDG) მიღწევაში, რომელიც 2030 წლისთვის ქალთა სრულ მონაწილეობასა და ლიდერობის თანაბარ შესაძლებლობებს მოითხოვს. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, კომპანია 2023 წელს გეგმავს პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტის შემუშავებას, რომლის მიზანია გენდერული პრინციპებით დაბალანსებული და დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა ემბისში.

## ღირსეული სამუშაო პირობები და ბენეფიტები

ემბისში თანამშრომელთა ანაზღაურება მოიცავს როგორც ფიქსირებულ ანაზღაურებას, ასევე სახელფასო დანამატებსა და ბონუსებს. სახელფასო დანამატი/ბონუსი დასახული გეგმების შესრულებაზე დამოკიდებული და მზარდი ანაზღაურების გამომუშავების შესაძლებლობას წარმოადგენს როგორც ყოველთვიურად, ასევე კვარტლურად ან წლიურად. ასევე, კომპანია ყველა თანამშრომლისთვის უზრუნველყოფს და სრულად ანაზღაურებს ჯანმრთელობის დაზღვევას.

გარდა ამისა, თანამშრომლებისთვის იგეგმება და ხორციელდება არამატერიალური წახალისების ინიციატივები, რომელთა მიზანია თანამშრომლების მოტივაციის ამაღლება და გუნდურობის გაძლიერება.

2022 წელს განხორციელებული თანამშრომელთა წახალისების ინიციატივებია:

- კორპორაციული ღონისძიება - 2022 წელს ჩატარდა კორპორაციული ღონისძიება, რომლის მიზანი იყო თანამშრომლებს შორის ურთიერთობების გაღრმავება და არაფორმალურ გარემოში დროის პოზიტიურად გატარება;



## თიმბლინდინგი

თანამშრომლებს შორის ნდობის გაძლიერებისა და მოტივაციის ზრდის მიზნით ემბისში რეგულარულად ტარდება თიმბლინდინგ შეხვედრები. 2022 წელს თიმბლინდინგი 4 ეტაპად ჩატარდა და გულისხმობდა გასვლით ღონისძიებებს კახეთსა და აჭარის რეგიონში. ღონისძიებაში მონაწილეობა კომპანიის ყველა თანამშრომელმა მიიღო.

# 12 რვენი გუნდი



## სპორტული ღონისძიებები

კომპანია მხარს უჭერს და ახალისებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას თანამშრომლებს შორის. 2022 წელს ემბისიში ჩატარდა ჭადრაკის შიდა ტურნირი, რომლის გამარჯვებულებისგანაც დაკომპლექტდა გუნდი და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ „საქართველოს მესამე კორპორაციულ ჭადრაკის ჩემპიონატში“.

ასევე, 2022 წელს ემბისის მარნეულის სერვის ცენტრის თანამშრომლებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისა და სპორტული სკოლის ორგანიზებით გამართულ საფეხბურთო ტურნირში მონაწილე 15 გუნდს შორის პირველი ადგილი დაიკავეს და ერთი წლით გარდამავალი ოქროს თასის მფლობელები გახდნენ.



## მადლობის კამპანია

თანამშრომელთა წახალისებისა და გუნდურობის ხელშეწყობის მიზნით ემბისიში განხორციელდა „მადლობის კამპანია“, რომლის მიზანი გახლდათ, გუნდის წევრებს შორის დახმარებისთვისა და მხარდაჭერისთვის მადლობის ემოციების გაცვლა. მეტი ხალისისთვის გამოცხადდა კონკურსი, რომელიც თანამშრომელთა შორის მიღებული მხარდაჭერისთვის, მადლობის ნიშნად სპეციალური „მადლობის ბარათების“ გაცვლას გულისხმობდა. კონკურსის ბოლოს გამოვლინდა ყველაზე მეტი „მადლობის ბარათის“ მფლობელი ემბისელების ვინაობა, რომელთაც კომპანიისგან სპეციალური საჩუქრები გადაეცათ.





## ახალი წელი ემბისიში

კომპანიაში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ნაძვის ხის მორთვის დღე, როცა საახალწლო ნაძვის ხეს ემბისელები ერთდროულად რთავენ სათავო ოფისსა და სერვის ცენტრებში. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამშრომელთათვის განკუთვნილი საახალწლო საჩუქრები ქართული წარმოების გახლდათ.

## თანამშრომელთა სწავლება და პროფესიული განვითარება

ემბისიში გვჯერა, რომ თანამშრომელთა პიროვნული და პროფესიული ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული კომპანიის წარმატებასთან.

სწორედ ამიტომ მუდმივად ვზრუნავთ თანამშრომელთა განვითარებასა და კარიერულ ზრდაზე, სისტემატურად ვგეგმავთ და ვახორციელებთ სხვადასხვა საკვალიფიკაციო ტრენინგსა და სასწავლო პროგრამას. ემბისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არსებული თანამშრომლების მზარდი პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების დაგეგმვასა და ჩატარებას. თანამშრომლების საჭიროებების კვლევის საფუძველზე იგეგმება შესაბამისი სწავლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამა. კომპანიაში ტარდება როგორც შიდა, ასევე გარე ტრენინგები. აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართული კომპანიის გამოცდილი თანამშრომლები, როგორც მენტორები. სწორედ გამოცდილი პროფესიონალების დახმარებით ვახორციელებთ ახალი კადრების სწავლებასა და მომზადებას.

კომპანია მხარს უჭერს კვალიფიკაციის ასამაღლებელ და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს. 2022 წელს გაგრძელდა ონლინ ტრენინგების მასშტაბური სერია, რომელიც ითვალისწინებდა ფრონტის თანამშრომლებისთვის პროფესიული ცოდნის გაღრმავებასა და საჭირო უნარების განვითარებას (3 სხვადასხვა მოდული).

ტრენინგები, თემატიკის მიხედვით, რამდენიმე აქტუალურ მიმართულებას მოიცავდა:

- საკრედიტო პროდუქტების პროცესინგი;
- სკრიპტები გაყიდვების მიმართულებით;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- მოტივაცია - მიზნის დასახვისა და მიღწევის იარაღი.

2022 წელს ემბისის მენეჯერული რგოლის თანამშრომლებისთვის დაინერგა ახალი ტრენინგ მოდული „ლიდერობა“, რომელიც წარმატებით გაიარა 30-მა საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერმა.

2022 წელს სერვის ცენტრების მენეჯერებისთვის ჩატარდა აქტიური კომუნიკაციის, networking-ის ტრენინგი (17-ვე სერვის ცენტრის მენეჯერი).

პროფესიული ტრენინგების გარდა, კომპანიის თანამშრომლებისთვის განხორციელდა ტრენინგები რბილ უნარებზე (გუნდური შეჭიდულობა, სტრესის მართვა), რომელიც გაიარა კომპანიის თითქმის ყველა თანამშრომელმა. ამან პოზიტიური გავლენა მოახდინა კომპანიის გუნდზე.

## ემბისის სკოლა

2022 წელს კომპანიაში ჩამოყალიბდა ემბისის სკოლა, რომლის მიზანია:

- ემბისის არსებული თანამშრომლების გადამზადება და მენტორობა;
- სტაჟიორების მოძიება, შერჩევა და მომზადება შესაბამის პოზიციაზე დასაქმების მიზნით;
- მენტორობის სისტემის დანერგვა.

არსებული თანამშრომლების გადამზადება გულისხმობს მათ სისტემატურ ტრენინგებს წინასწარ შემუშავებული გრაფიკითა და სასწავლო პროგრამით. სასწავლო პროგრამა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პროდუქტები, მომსახურების სტანდარტი, რისკები, AML და ა.შ.

სტაჟიორების მომზადების კურსი შედგება თეორიული და პრაქტიკული სწავლებისგან და მოიცავს ყველა საჭირო ტრენინგსა და მენტორობის პროცესს.

## თანამშრომელთა ჩართულობა და კომუნიკაცია

იმისთვის, რომ თანამშრომლებს მიეცეთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ ახალი იდეები ან რეკომენდაციები, ასევე დააფიქსირონ პრეტენზია ან საჩივარი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, კომპანიაში ვიყენებთ ონლაინ პლატფორმას „WeShare“. პლატფორმა არის ონლაინ და ემბისის თანამშრომელს ნებისმიერ დროს შეუძლია, ისარგებლოს ამ შესაძლებლობით, შეავსოს განაცხადი და კომუნიკაცია განახორციელოს კომპანიის მენეჯმენტთან.

## თანამშრომელთა აზრის კვლევა

თანამშრომლების აზრი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველწლიურად ვატარებთ სხვადასხვა კვლევას თანამშრომელთა აზრის დასადგენად.

### • თანამშრომლების კმაყოფილების კვლევა

თანამშრომლის კმაყოფილებისა და ჩართულობის დონის განსაზღვრის მიზნით ყოველწლიურად ვატარებთ თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევას. კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების ანალიზის მიზანია თანამშრომლებისთვის უკეთესი სამუშაო გარემოსა და პირობების შექმნა. 2022 წელს კვლევაში მონაწილეობა კომპანიის თანამშრომელთა 70%-მა მიიღო. კვლევის შედეგად დადგინდა თანამშრომლების დამოკიდებულება ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიც არის: სამუშაო გარემო და პირობები, სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული სტრესი, კომპანიის ორგანიზაციულ კულტურასა და ფასეულობებთან თანხვედრა და დამოკიდებულება, ლოიალურობა კომპანიის მიმართ. ყოველწლიურად ჩატარებული კვლევის შედეგები წარედგინება კომპანიის მენეჯმენტს და ხდება შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და მიზნების დასახვა.



### • შესრულებული სამუშაოს შეფასება

ემბისიში მოქმედებს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს წლიური შეფასება, რომელიც სამართლიანობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, ნდობის, კომპანიასა და თანამშრომლის ინტერესთა თანაზომიერების პრინციპების დაცვით წარმოებს. 2022 წელს დაიხვეწა თანამშრომელთა სამუშაოს შეფასების სისტემა. განახლებული სისტემის საფუძველზე ფასდება არა მხოლოდ დასახული მიზნების შესაბამისად თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაო, არამედ ფასდება თანამშრომლები ამ მისიებისა და ფუნქციების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციის მიხედვით. შეფასების სისტემაში ჩაიდო ახალი კომპონენტი - სამუშაოს შესრულების ინდიკატორებზე დაფუძნებული შეფასება. შეფასებების დასრულების შემდგომ განხორციელდა შეფასების უკუკავშირის კვლევა.

### თანამშრომელთა მოხალისეობრივი საქმიანობა

ემბისის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა მოხალისეობრივ საქმიანობაში. კომპანია არის საქართველოს პრო ბონო ქსელის წევრი და თანამშრომლების ჩართულობით ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა პრო ბონო პროექტს (იხილეთ დეტალური ინფორმაცია ქვეთავში - კორპორაციული მდგრადობა). 2022 წელს ემბისის ორი თანამშრომელი მონაწილეობდა მოხალისეობრივ პროექტში (პრო ბონო პროექტი).

<https://www.facebook.com/mbc.com.ge/posts/pfbid02uotr3QVx81ZMLmjuDjeS9CGguK1kAADa8hEy8ytw6iqRtYBLXCZdCGgQCtvB36GPI>



# ინფორმაციული ტექნოლოგიები

2022 წელს ემბისიმ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საოპერაციო პროცესების გაციფრების, მონაცემთა დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

## ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების მიმართულება

2022 წლის დასაწყისში განხორციელდა მეილ-სერვერის მიგრაცია 2013 წლის ვერსიიდან უახლეს ვერსიამდე. ორგანიზაციის ზრდისა და სერვისების რაოდენობის მატებასთან ერთად, საჭირო გახდა ძირითადი სერვერების გაძლიერება, რაც წარმატებით შესრულდა 2022 წლის პირველ ნახევარში. სერვერების გაძლიერებასთან ერთად, გაუმჯობესდა მათი წარმადობის ხარისხი.

უსაფრთხოების ხარისხის გაზრდის მიზნით, 2022 წლის მეორე ნახევარში დაინერგა მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ანტივირუსი და ელექტრონული ფოსტის ანთისპამ სისტემა. 2023 წლის პირველ ნახევარში ემბისიში დაგეგმილია სერვის ცენტრების კომპიუტერული აპარატურის გაუმჯობესება.

IT ინფრასტრუქტურის გაძლიერების მიზნით დაგეგმილია მონიტორინგის სისტემის დანერგვა და სერვერების განახლება.


## ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის მიმართულება

2022 წლის განმავლობაში ემბისიში აქტიურად მიმდინარეობდა ადამიანური რესურსების მართვის სისტემის (HRMS) განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც წინა წელს დანერგილ სისტემაში ახალი მოდულები დაემატა. როგორცაა, კერძოდ, შესვენების აღრიცხვის მოდული, დაზღვევის მოდული, რეპორტების მოდული და სხვა. აღნიშნული სისტემა მნიშვნელოვნად ამარტივებს ორგანიზაციის შესაბამისი რგოლების სამუშაო პროცესს. აღსანიშნავია, რომ HRMS-ის განვითარებაზე მუშაობა 2023 წელსაც გრძელდება. დაგეგმილია ხელფასების მოდულისა და მოთხოვნების დადასტურების მოდულის დანერგვა.

საოპერაციო პროცესების გამარტივების მიზნით, Manage Engine-ს სერვის დესკის სისტემაში, სადაც უკვე გვექონდა გამართული IT Support-ის პროცესი, 2022 წელს დავამატეთ ლოჯისტიკისა და შესყიდვების, ასევე რეპორტირების მოთხოვნების მართვის პროცესები. თიქეთინგ სისტემის დანერგვამ მნიშვნელოვნად გაამარტივა და მეტად ეფექტიანი გახადა ყოველდღიური სამუშაო პროცესი ორგანიზაციის შესაბამისი რგოლებისთვის.

ზემოხსენებული პროექტების გარდა, ემბისიში განხორციელდა რიგი ცვლილებები, როგორცაა, მაგალითად, რეგულაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვადასხვა პროგრამული ცვლილებები.

2023-2024 წლებში კომპანია მიკრო ბანკის ტრანსფორმაციის პროცესში იქნება, შესაბამისად კიდევ უფრო გაიზრდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციები, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და დანერგვის თვალსაზრისით, ასევე განყოფილების გუნდის გაძლიერების მიმართულებით. მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის გრძელვადიან გეგმაზე მუშაობა და ყველა საჭირო პროექტსა თუ პროცესზე შეთანხმება.

A blurred background image of a business meeting. In the foreground, a person's hands are visible, holding a pen and pointing at a document. The document contains several charts, including a prominent red pie chart and a blue bar chart. Other people in business attire are visible in the background, also working on documents.

**მმართველობა**

ემბისის, როგორც საექციო საზოგადოების კორპორაციული მართვა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას. მისოს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის განსაზღვრას, ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების სწორ დელეგირებას, ჯანსაღ ადმინისტრირებას, რისკების ეფექტიან იდენტიფიცირებას, მართვასა და ანგარიშგებას, ადეკვატურ შიდა კონტროლს, ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას, შესაბამის პოლიტიკა-პროცედურებს.

მისოს მართვის სტაბილური ფუნქციონირებისათვის მკაცრად არის გამიჯნული უფლებამოსილება საზედამხედველო, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის, რომელთა ფუნქციები სრულად უზრუნველყოფს მისოს მართვას და არ არის დუბლირებული.

მისოს მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მისოს უმაღლეს მმართველობით ორგანოს. აქციონერთა უფლებები განსაზღვრულია მისოს წესდებით და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. მისოს საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს მისოს განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

მისოს სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისგან, მათგან ერთი დამოუკიდებელი წევრია და აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს. სამეთვალყურეო საბჭოს ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს აქციონერთა უფლებებისა და მათი კაპიტალის დაცვა, მისოს საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა, ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება, აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობა და ჯანსაღი კორპორაციული გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში მათი როლის მუდმივი შეფასება, ეფექტიანი შიდა კონტროლისა და რისკების მართვისთვის სათანადო პირობების არსებობის უზრუნველყოფა, მისოს ანაზღაურების სისტემის მონიტორინგი, მისოს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის, რისკ-აპეტიტის, ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულების კონტროლი.

სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის მთავარი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და მისოს გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტის მიზანია შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესის წარმართვა, შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგი, კანონმდებლობასა და რეგულაციებთან ორგანიზაციის მუშაობის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რაც საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეძლებს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას. მისოს აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილებას, ფუნქციებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და მისოს დებულება აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს.

მისოს ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორატი, რომელიც უზრუნველყოფს მისოს სტრატეგიული მიზნების მიღწევას, კოლექტიურად აგებს პასუხს თავის საქმიანობაზე და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. დირექტორატის წევრებს სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს. მისოს დირექტორატი სხვა ფუნქციებთან ერთად აღასრულებს მისოს ბიზნეს სტრატეგიებს, ქმნის ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტიან სისტემებს, ხელს უწყობს რისკის კულტურის შემუშავებას და დამკვიდრებას, პროცესებსა და კონტროლს, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. დირექტორატი პასუხისმგებელია მისოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვლებების განაწილებასა და ეფექტიანი მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს მისოს შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

მისოს დირექტორატი შედგება 5 წევრისგან - გენერალური დირექტორი, დაკრედიტების დირექტორი, ოპერაციების დირექტორი, ფინანსური დირექტორი და რისკების დირექტორი. დირექტორატის წევრების დანიშნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს საქართველოს კანონმდებლობა, მისოს წესდება და დირექტორატის დებულება ადგენს.


კომპანიაში ფუნქციონირებს შიდა აუდიტი, რომელიც ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. შიდა აუდიტის უფროსსა და წევრებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს. შიდა აუდიტის ძირითადი ამოცანაა, დახმარება გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის რისკების მართვის ეფექტიანობის, ხარისხის კონტროლისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ზედამხედველობის



## კორკორაციული მართვა

მიმართულებით. შიდა აუდიტის უფროსი უზრუნველყოფს წლიური გეგმისა და აუდიტის პროგრამების შედგენა/შესრულების კონტროლს, აუდიტორული საქმიანობის ორგანიზებას და მართვას, სამეთვალყურეო საბჭოსათვის პერიოდული ანგარიშგების მომზადებას. შიდა აუდიტი ადგილზე შემოწმების გზით აკონტროლებს კომპანიის მართვის მექანიზმების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების, საოპერაციო სისტემების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გამართულობასა და სანდოობას, მათ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. შიდა აუდიტის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა, მისოს წესდება და დებულება შიდა აუდიტის შესახებ. წლის ბოლოს, მისოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და წლიური ანგარიშგების საიმედოობის შესაფასებლად, სამეთვალყურეო საბჭო დამოუკიდებელ გარე აუდიტორს იწვევს.

მისო აღიარებს მმართველობითი ორგანოების სხვადასხვა სქესის, ეროვნებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანებით დაკომპლექტების მნიშვნელობას, დასაქმებას და შესაბამის პოზიციებზე დანიშვნას სამუშაო გამოცდილების, განათლების, პროფესიული ცოდნისა და მოთხოვნილი უნარების შესაბამისად ახორციელებს. სამეთვალყურეო საბჭოში ხუთი წევრიდან ერთი ქალია, ხოლო დირექტორატის შემადგენლობაში ხუთი წევრიდან სამი ქალია წარმოდგენილი.





### ტარას ნიჟარაძე

#### სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ტარას ნიჟარაძე, 2012 წლიდან გახლავთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "მიკრო ბიზნეს კაპიტალის" პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

1990 წლიდან იგი აქტიურად მოღვაწეობს ბიზნესის სფეროში - არის საბანკო, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯეტიკის სფეროებში მოღვაწე კერძო კომპანიების დამფუძნებელი და მენეჯერი.

1998 - 2012 წლებში ტარას ნიჟარაძე იყო სს "ბაზისბანკის" ერთ-ერთი აქციონერი, ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შემდგომ თავმჯდომარე.

